კვირეული „ვერსია“, „ვერსიანი“ ერთი

ვერსია

№22 (1612) 8 — 14 ივნისი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

31 მაისს, პოლიციელის დღე აღინიშნა

რუსეთ-უკრაინის ომის 100 დღე — ვინაა გამარჯვებასთან ახლოს

პაატა დავითაია: „ეს ომი მსოფლიოს აწყობს“

„პახპები ხართო“ — რის გამო გამართეს ცემა-ტყეპა ოპოზიციონერებმა პირდაპირ ეთერში

პაატა მანჯგალაძისა და გიორგი გუგავას განმარტებები ჩხუბის შემდეგ

რატომ მოკვდა ქართული პოლიტიკა

რა გამოაფხიზლებს ჩაძინებულ ოპოზიციას

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ შარაძემ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ფოთის ბაზაზე, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მეორე მოადგილეს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, კეტრინ ინსლის, ასევე, ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS)-ის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

ვიზიტის მიზანი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საქმიანობისა და შესაძლებლობების გაცნობა, აგრეთვე, სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

შეხვედრებს სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი – I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ხელმძღვანელი – II რანგის კაპიტანი შოთა მიროტაძე, ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის უფროსი – ჯულია ჰერსონსკისი, ამავე პროგრამის კავკასიისა და თურქეთის პროექტების მენეჯერი – კელონ ჯეკლინი და საქართველოში ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის (EXBS) ხელმძღვანელი – როზიცა პეტროვა ესწრებოდნენ.

სასაზღვრო პოლიციის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ შარაძემ დელეგაციის წევრებს წარმატებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა, სანაპირო დაცვის ფოთის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა, ასევე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტისა და საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის (JMOC) საქმიანობის მიმართულებები და პრიორიტეტები გააცნო. მხარეებმა სასაზღვრო პოლიციაში მიმდინარე ერთობლივ პროექტებსა და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრსაც (JMOC) ეწვივნენ.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ხელმძღვანელმა, II რანგის კაპიტანმა შოთა მიროტაძემ სტუმრებს ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროს შიდა საფეხბურთო ტურნირის ფინალში გამარჯვებული გუნდი დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა საფეხბურთო ტურნირის ფინალური შეხვედრა გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რომელსაც მინისტრი, ვახტანგ გომელაური და მინისტრის მოადგილეები – ალექსანდრე დარახველიძე, იოსებ ჭელიძე და გიორგი ბუთხუზი დაესწრნენ.

ფინალურ შეხვედრაში, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის გუნდები. დაძაბული მატჩი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

გამარჯვებული გუნდი შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა ტურნირის თასით, ხოლო აღნიშნული გუნდის ფეხბურთელები – მედლებით, პირადად დააჯილდოვა. ასევე, სპეციალური ჯილდო გადაეცა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის გუნდის წევრს დავით ჯანაშიას, რომელმაც ტურნირის მიმდინარეობისას, მეტოქის კარში 19 გოლი გაიტანა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, „პოლიციელის დღე – 2022“-თან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში, საფეხბურთო ტურნირი მიმდინარეობდა. მასში სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის გუნდები მონაწილეობდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრადიციული, ყოველწლიური საფეხბურთო შიდა ტურნირის მიზანია, სამინისტროს თანამშრომლებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

პოლიციამ რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია სამი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, სამეგრელოში, სვანეთში, შიდა ქართლსა და იმერეთში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, უკანონო საბრძოლო მასალა ამოიღეს, სამი პირი დააკავეს და ორი ამხილეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1981 წელს დაბადებული დ.ჩ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამავე დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1987 წელს დაბადებული ვ.ჭ. მარტვილში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ ავტომობილიდან, რომლითაც ბრალდებული გადაადგილდებოდა, ნივთმტკიცებად ამოიღო პისტოლეტი და 38 ვაზნა.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1954 წელს დაბადებული რ.ე. და 1967 წელს დაბადებული ი.გ., სხვადასხვა დროს, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში ამხილეს. სამართალდამცველებმა კასპის მუნიციპალიტეტში, რ.ე.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: 2 შაშხანა, 152 ვაზნა და 4 ამფეთქ-დეტონატორი, ხოლო ი.გ.-ისგან ნივთმტკიცების სახით ამოღებულია „მაკაროვის“ კონსტრუქციის პისტოლეტი და ვაზნები.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, 1998 წელს დაბადებული მ.ხ. ქუთაისში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. პოლიციამ, ბრალდებულის კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 1 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

შსს-მ ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით, საინფორმაციო კამპანია – „ნუ წაართმევ ბავშვობას“ დაიწყო, რომლის მიზანია, ბავშვობის ასაკში ქორწინების ხელშემწყობი დანაშაულების აღმოფხვრა და ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, აღნიშნული კატეგორიის საქმეების შესახებ სამართალდამცველებისთვის დროული შეტყობინების უზრუნველყოფა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლა და მსგავსი ფაქტების დროული გამოვლენა. შესაბამისად, ეფექტიანი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სწავლობს და ამონიტორინგებს ბავშვთან ქორწინების მოტივით ჩადენილ ყველა შესაძლო შემთხვევას.

კამპანიის გახსნით ღონისძიებაზე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, ლელა ბაქრაძემ და შვედეთის სამეფოს ელჩმა საქართველოში, ულრიკ ტიდესტრომ მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს.

ღონისძიებას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველის აპარატისა და აღნიშნულ საკითხზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა წარადგინა პრეზენტაცია, რომლის მეშვეობითაც სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს ბავშვობის ასაკში ქორწინების სტატისტიკური მონაცემებისა და კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ.

ამასთან, გაიმართა პანელური დისკუსია, რომელშიც მომხსენებლებად მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ნიკო თათულაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია და სახალხო დამცველის ოფისის გენდერის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოფიო რუსეცკი.

გარდა ამისა, ბავშვობის ასაკში ქორწინების თემაზე მომზადდა ვიდეო-რგოლი, რომელშიც სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები საუბრობენ ბავშვობის ასაკში ქორწინების უარყოფით მხარეებზე და ხაზს უსვამენ ასეთი ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას.

კამპანია გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში, შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

საინფორმაციო კამპანია ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება და არაერთ ღონისძიებას მოიცავს, მათ შორის, შეხვედრებს თბილისსა და რეგიონებში, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან. აღნიშნულ შეხვედრებს გამართავენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები, საპოლიციო დანაყოფებისა და სხვა პარტნიორი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად. აგრეთვე, ჩატარდება ნახატების კონკურსი.

კამპანიის ფარგლებში, ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები. დამზადდა კამპანიის სიმბოლოებიანი სანიშნეები, მაისურები, გულსაბნევები, ჩანთები და სხვა ბრენდირებული ნივთები, რომლებიც კამპანიის მიმდინარეობისას, სკოლის ადმინისტრაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს გადაეცემა.

რატომ მოკვდა ქართული პოლიტიკა

რა გამოაფხიზლებს ჩაძინებულ ოპოზიციას

ნინო დოლიძე

კიდევ კარგი, გიორგი გუგავამ და პაატა მანჯგალაძემ „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში ერთმანეთი გატყიპეს, თორემ მოუსავლეთის გზაზე დამდგარ ქართულ პოლიტიკაში ისეთი სიმშვიდე იყო, აი, დიდი უბედურების წინ რომ დაისადგურებს ხოლმე. ისე, 30 წელია, საქართველო დამოუკიდებელია და ამ ხნის განმავლობაში ცემა-ტყეპა ჩვენებური პოლიტიკის თანმდევია. არა, ისე არ გაიგოთ, რომ კუნთებს მხოლოდ ჩვენთან ათამაშებენ. ჩხუბი სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებსაც უყვართ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიტიკური ეშმაკებიც კი ვერ მიხვდნენ, მანჯგალაძე გუგავას რატომ „გაექაჩა“. მართალია, ორივემ ბოდიში მოიხადა, ასე არ უნდა მოვქცეულიყავითო, მაგრამ გუგავასი რა გითხრათ და, აი, მანჯგალაძეს ბევრი არაფერი დაუკარგავს – კი ბატონო, ეს ახალგაზრდა ყმაწვილი დეპუტატია და მისი არსებობის შესახებ, ახლო ნათესავების გარდა, ბევრი-ბევრი, გიორგი ვაშაძემ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ამომრჩევლებმა იცოდნენ. არადა, ვაშაძის იმდენი ამომრჩეველი ჰყავს, რომ ერთი ქორწილის ხალხიც არ იქნება.

ზოგადად, იმაში უცნაური და მოულოდნელი არაფერია, როცა ერთმანეთს ოპონენტები „ეშპილკავებიან“, მაგრამ გასაოცარია, როცა ტატამს საზოგადოების თვალწინ ოპოზიციონერები, ესე იგი, ის ადამიანები აწყობენ, რომლებიც დღე ერთია და შვიდასჯერ ამტკიცებენ, აი, ამ ქვეყნის უბედურება ხელისუფლებაა. შე მამაცხონებულო, ხელისუფლებასთან რა პრეტენზია გაქვს, როცა შენ, ვითომ ქვეყნის ბედზე დამაშვრალი, პირდაპირ ეთერში წიხლებს იქნევ და „მუსკულებს აკაჩავებ“?

იქნებ, ეს ჩხუბი ოპოზიციას ხეირადაც ექცეს.

რატომ? რატომ, თქვენი გულისა და, ოპოზიციაში ისეთ სტაგნაციაა, რომ თუ ხატოვნად ვიტყვით, „ანტიოცნებელები“ მთქნარებით კვდებიან. დიახ, ეს უტრირებული ნათქვამია, მაგრამ ფაქტი, ცხონებული ბებიაჩემისა არ იყოს, ჯიუტია – აღარც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობა ადარდებთ ოპოზიციონერებს და აღარც – ნიკა გვარამიას პატიმრობა.

ეს კი არადა, „ლელოს“ უსტაბაშმა, მამუკა ხაზარაძემ ისიც კი თქვა, ოღონდ, რამე გაკეთდეს და მზად ვარ, ანაკლიის პორტზე საერთაშორისო არბიტრაჟში შეტანილი სარჩელი გამოვიტანოო.

„ჩვენ საერთაშორისო არბიტრაჟში რატომ წავედით?! – განა, იმიტომ, რომ ფული მოვთხოვოთ სახელმწიფოს? – არა! მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი სიმართლე დავამტკიცოთ და საერთაშორისო ბერკეტი გვქონდეს, რომ ანაკლია ავაშენოთ და არა ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს ფული წავართვათ. როცა რუსეთ-უკრაინის ომის გამო, ჩრდილოეთის გზები ჩამოვიდა სამხრეთით და ეს სამხრეთი ვართ ჩვენ ანუ შუა დერეფანი არის საქართველო და ამ დროს პოლიტიკურად გეშინია, ხმამაღლა თქვა, რომ მოდი, დავა შევწყვიტოთ, შევხვდეთ იმ ინვესტორებს, რომლებმაც ანაკლიაში ფული უკვე ჩადეს და შესთავაზო მათ პროექტის განახლება ანუ არ ხარ დაინტერესებული პროექტის განხორციელებით... დღეს, ჩვენი ქვეყნის გადარჩენის მომენტია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ განვახორციელოთ.

არ ვიცი, რა გარანტია უნდა დადოს სახელმწიფომ, რით უნდა იყოს ის გამყარებული, მაგრამ მე მზად ვარ, სარჩელი გამოვიტანო არბიტრაჟიდან, ოღონდ, ამ ქვეყანაში რამე გაკეთდეს“, – თქვა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ დამფუძნებელმა, მამუკა ხაზარაძემ BMGTV-სთან საუბრისას.

ამ განცხადებას თუ ჩავუღრმავდებით, შესაძლოა, გაგვიჩნდეს ვერსია, რომ ხაზარაძე ხელისუფლებასთან ომს აღარ აპირებს. ისე, ასეთი პირი სხვა ოპოზიციონერებსაც უჩანთ. ყოველ შემთხვევაში, თვალშისაცემია, რომ ოპოზიციას სალაპარაკო ბევრი აღარაფერი აქვს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა პრემიერი ამბობს, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონე ისტორიულ მინიმუმზეა.

„სიღარიბის დონე ისტორიულ მინიმუმზეა, შეიძლება ითქვას, ჩამოსული ამ წლებში. 17.5% შეადგინა ბოლო წლების განმავლობაში. შედარებისთვის გეტყვით, რომ 2010 წელს, 38% იყო და 2012 წელს, მაშინ, როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში – 34%. რა თქმა უნდა, ეს ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, მეტი უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ ამას სჭირდება მშვიდობა მეგობრებიო“, – განაცხადა პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 6 ივნისს გამართულ მთავრობის სხდომაზე.

ოპოზიციას რომ არ ეძინოს, ამ განცხადებას ხელზე დაიხვევდა და ერთ ამბავს ატეხდა, მაგრამ ხმაც არავის ამოუღია ანუ გამოდის, რომ ხელისუფლების ოპონენტებს სათქმელი არაფერი აქვთ. ამიტომ, ისევ ევროკავშირის კანდიდატობას „აწვებიან“ და ცდილობენ, ხალხს დააჯერონ, აი, „ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატები არ გავხდეთო, თუმცა აქაც, როგორც ირკვევა, საქმე სრულიად სხვაგვარადაა.

კერძოდ, ირკვევა, რომ ჩვენი ოპოზიციონერები, თურმე, ევროპარლამენტარებს საქართველოზე კოშმარებს უყვებიან.

„სამწუხაროა, რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ჩვენ შიგნით მოქმედი დესტრუქციული ძალები, ამის თაობაზე, მე ჩვენ მოქალაქეებს მივაწოდე ინფორმაცია და ანგარიში ჩავაბარე ერთგვარად, ცდილობდნენ და ცდილობენ ჯერ კიდევ, მათ შორის, შეკვეთილი სტატიებით, სიუჟეტებით – უცხოურ მედიაში, პრესაში, მათი შეხვედრებით ბრიუსელში და გაოცებულები მიყვებოდნენ აქეთ, ჩვენი ევროპელი კოლეგები, თუ რაოდენ ანტისახელმწიფოებრივი კამპანია და უპასუხისმგებლო კამპანიაა წამოწყებული საკუთარი ქვეყნის, საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ“, – თქვა ზემოხსენებულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა.

ერთი სიტყვით, გამოდის, რომ ოპოზიცია, ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციის ნაწილი, საკუთარ ქვეყანას დასავლეთში „წელს ქვემოთ“ აყენებს დარტყმებს.

რატომ? – ამის ახსნა ძალიან მარტივია: თუ საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა ვერ გახდა, ოპოზიცია გამოცოცხლდება და „აგნიასდება“, აი, ხომ ვამბობდით, ქვეყანას გეზი რუსეთისკენ აქვს აღებულიო, მაგრამ ამ რიტორიკის აღარავის სჯერა, სხვათა შორის, თავად ოპოზიციის მომხრეებსაც, რასაც სოცქსელიც მოწმობს ანუ იგივე „ფეისბუქში“, ოპოზიციის მხარადმჭერები ხელისუფლებაზე კი არა, უკვე ოპოზიციაზე ქილიკობენ და ათას სახუმარო ტექსტებს წერენ.

ყველაფერ ამის მიუხედავად, ოპოზიციონერებს ღრმად სძინავთ, ან შეიძლება, არ სძინავთ და ივნისის ხვატისგან გათანგულნი, სადმე ირუჯებიან.

ახლა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, რაში აწყობს ოპოზიციას მიხეილ სააკაშვილის ან ნიკა გვარამიას თავისუფლება? – ყველამ კარგად იცის, რომ „სვაბოდაზე“ მყოფი ეს ორი „მასტი“ ყველაზე დიდი თავის ტკივილი, სწორედ ოპოზიციისთვისაა.

ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციის ბევრმა ლიდერმა ზედმიწევნით კარგად იცის, რომ თუ სააკაშვილი და გვარამია ისევ გააქტიურდებიან, მათი ფასი ჩალას გაუტოლდება. ალბათ, ამიტომაც არის, რომ იგივე „ნაცმოძრაობაში“, მიშასთან პრეტენზიები აქვთ და ამის თაობაზე, „ვერსიის“ წინა ნომრებში ვწერდით.

ჰოდა, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანას ოპოზიცია, უფრო კონკრეტულად, ჯანსაღი ოპოზიცია არ ჰყავს. არადა, დემოკრატიისთვის ოპოზიცია, ესე იგი, კრიტიკა აუცილებელია.

აფერუმ, ამაშიც არ გაგვიმართლა!

„კახპები ხართო“ – რის გამო გამართეს ცემა-ტყეპა ოპოზიციონერებმა პირდაპირ ეთერში

თათია გოჩაძე
598-43-50-34



პაატა მანჯგალაძისა და გიორგი გუგავას განმარტებები ჩხუბის შემდეგ

5 ივნისს, „ტვ პირველის“ ეთერში, ლეიბორისტული პარტიისა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ხელჩართული ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც გიორგი გუგავამ პაატა მანჯგალაძეს „მოსყიდული“ უწოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ჩხუბი ეთერს გარეთაც გაგრძელდა. რის გამო დაუპირისპირდნენ ოპოზიციონერი ლიდერები ერთმანეთს? – „ვერსია“ გიორგი გუგავასა და პაატა მანჯგალაძეს ესაუბრა...

გიორგი გუგავა: – პოლიტიკურ პოლემიკაში თავშეკავებაა საჭირო და ყოველგვარი ძალადობა უნდა გამოირიცხოს. ამ ძალადობის ინიციატორი არ ვიყავი და არც დამიწყია, მაგრამ მაინც ბოდიშს ვუხდი მაყურებელს. საუბარი იმაზე იყო, რომ ივანიშვილის „ლიბერთი ბანკმა“ გაიმარჯვა გამოცხადებულ ტენდერში, რაშიც ხელი შეუწყო პარლამენტში ე.წ. ოპოზიციამ, მათ შორის, ვაშაძის ჯგუფმა. ამაზე გვქონდა დავა და ვუთხარი, ეს გამოგივიდათ ბიძინასთვის სასიკეთო საქმე და არა – პენსიონერებისთვის-მეთქი. უცებ დავინახე, გავეშებული ადამიანი მოდიოდა საცემად.

– მას მოსყიდული უწოდეთ?

– არა, სიტყვა-სიტყვით გითხარით, რაც ვუთხარი.

– რას ფიქრობთ, მოსახლეობას კიდევ უფრო დიდ უიმედობაში არ ჩააგდებს მსგავსი სცენების ნახვა, როცა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ნაცვლად გაერთიანებისა, ერთმანეთთან ხელჩართულ ბრძოლას იწყებთ?

– არ იმსახურებს ხალხი ასეთი კადრების ნახვას. კონფლიქტის ინიციატორი არასდროს ვყოფილვარ. შეიძლება, პოლემიკაში ვიყო საკმაოდ მკაცრი, მაგრამ არასდროს ვიყენებ უცენზურო სიტყვებს და ძალადობას არ მივმართავ. ეს პროვოკაცია იყო თუ თავი ვერ შეიკავა, ამაზე, ალბათ, გააკეთებს განმარტებას. ეს არის მიუღებელი და პოლიტიკოსი ასეთი ფორმით არ უნდა იქცეოდეს. როცა თავს დამესხა, ინსტიქტურად თავს ვიცავდი, თუმცა ვიმეორებ, რომ არასასიამოვნო ფაქტი მოხდა და ამის გამო, ბოდიშს ვიხდი.

– არა მხოლოდ ამ საკითხზე, თქვენ მწვავედ აკრიტიკებდით ოპოზიციას პარლამენტში შესვლის გამოც და ბოლომდე ბოიკოტის მომხრედ დარჩით...

– დღეს დიდი იმედგაცრუებაა საზოგადოებაში, რაც გამოიწვია იმ არათანმიმდევრულმა ნაბიჯებმა, რაც ოპოზიციამ გადადგა. ხალხი გაჰყვა ოპოზიციას ბრძოლაში, დაიწყეს ფიცი-მტკიცი, არ შევალთ პარლამენტში, სანამ ახალი არჩევნები არ ჩატარდებაო, თუმცა, სამწუხაროდ, ვნახეთ, როგორ ჩამწკრივდნენ პრეზიდენტის სასახლეში, შევიდნენ პარლამენტში და უარყვეს საკუთარი სიტყვა. ამან გამოიწვია ნიჰილიზმი და სახელისუფლებო რეჟიმის გაძლიერება. ეს რატომ გააკეთეს, სიბრიყვით თუ ანგარებით – ალბათ, სხვადასხვა მოტივი არსებობდა. ჩვენ კი დავისაჯეთ იმისთვის, რომ სიტყვის ერთგულები დავრჩით. გაგვიუქმეს დაფინანსება, კომისიის წევრის დანიშვნის, უფასო რეკლამის განთავსების უფლება, შალვა ნათელაშვილი გარიცხეს პარლამენტიდან და დღემდე მიმდინარეობს ჩვენი დევნა. ის პირიც, რომელიც გუშინ ასე გავეშებული იყო, პირველად ვნახე ეს ბუნჩულა კაცი, ჩვენს წინააღმდეგ ხმა მისცეს პარლამენტში! როცა კომისიის წევრების უფლება ჩამოართვეს ჩვენს პარტიას, ამას მხარი დაუჭირეს. არადა, ახალი გამოსულები იყვნენ „ფანჩატურიდან“, სადაც ლამის სამარადისო ძმობისა და მეგობრობის ფიცი გვქონდა დადებული.

პაატა მანჯგალაძე: – აგიხსნით, სინამდვილეში რა მოხდა – ამ ეთერს წინაპირობაც ჰქონდა. რამდენიმე ეთერში, ხან ივანიშვილის ვირთხებს გვეძახდა და ხან მოსყიდულებს. შემდეგ გვითხრა, ეს უანგაროდ არ გაგიკეთებიათ და ეტყობა, ინტერესი გაქვთ ივანიშვილთანო ანუ თითქოს, პენსიონერების საკითხზე, ივანიშვილს გავურიგდით. ვკითხე, მე ვარ მოსყიდული-მეთქი? – არა, კახპები ხართო, მითხრა და მიიღო პასუხიც. ამით კი არ ვამაყობ და ღირსებას კი არ მმატებს... ნამდვილად არ მინდოდა და ბოლომდე ვითმენდი, რომ საზოგადოებას არ ენახა ის, რაც წუხელ ნახა, მაგრამ ხომ არის საზღვრები, რომლის იქითაც, ადამიანმა უკადრებელი არ უნდა იკადრო?! პოლიტიკური დებატები არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს აკადრო ყველაფერი!

– ბატონო პაატა, „ლიბერთი ბანკის“ საკითხზეც ვისაუბროთ, რასაც თქვენს შორის დაპირისპირება მოჰყვა...

– ძალიან მარტივი საკითხია „ლიბერთი ბანკთან“ დაკავშირებით. ადამიანები იღებდნენ სესხს თავიდან 50%-ში, შემდეგ გახდა 36%. ამ საკითხზე ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ 2019 წელს და ამისთვის 100 000 ლარით დაგვაჯარიმეს. ხელმოწერებს ვაგროვებდით მოთხოვნით, რომ შემცირებულიყო სესხის პროცენტი. ვამბობდით, რომ არ შეიძლება, მონოპოლია ჰქონდეს ერთ ბანკს და როგორც კი პარლმანეტში შევედით, 2021 წელს, შევიტანეთ საკანონმდებლო ინიციატივა, რომ პენსიონერს თავად ჰქონდეს შესაძლებლობა, აირჩიოს, რომელი ბანკის სერვისით ისარგებლებს. როგორც ჩვენ შეგვიძლია, ხელფასი ნებისმიერ ბანკში ავიღოთ, ასევე, ჰქონდეთ პენსიონერებს არჩევანის საშუალება, ეს გამოიწვევს ბაზარზე კონკურენციას და აღარ იქნება მონოპოლიური ფასი. გადაიდო ამ საკანონმებლო წინადადების მიღება, თუმცა ხელისუფლება ვერ უძლებდა ამ კრიტიკას და „ქართულ ოცნებაში“ თქვეს, ეს მართლაც დიდი პროცენტიაო, ნაწილობრივ გაიზიარეს ჩვენი შეხედულება. დღეს უკვე 26-მდე დაიწია სასესხო პროცენტმა. რეფინანსირების განაკვეთი თუ შემცირდება, კიდევ დაბლა ჩამოვა ეს მაჩვენებელი. ეს ის არაა, რისთვისაც ვიბრძოდით, მაგრამ უკეთესი მდგომარეობაა, რადგან ადამიანები 36-38% იხდიდნენ. ამის გამო, ადამიანთან მიხვიდე და უთხრა, შენ ეს იმიტომ გააკეთე, რომ ივანიშვილთან ხარ გარიგებულიო, ჩემთვის დიდი შეურაცხყოფაა.

რაში გამოიხატება ეს „გარიგება“, 50 000 ხელმოწერა რომ შევაგროვეთ და სამი წელია, ამ თემის ადვოკატირებას ვახდენთ?!

რაც შეეხება იმ 105 მილიონის საკითხს, სესხის ბინაზე მომსახურება სჭირდება, დაახლოებით, 50 000 ადამიანს, მათ შორის, შშმ პირებს, მოხუცებს და ა.შ. ეს მომსახურების ხარჯები აქამდე შედიოდა სესხის პროცენტში. ახლა კი სახელმწიფომ სესხის დარიგების ხარჯები აიღო საკუთარ თავზე და შესაბამისად, ხალხის სესხის პროცენტი შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოცხადდა ღია კონკურსი, ტენდერში სამი ბანკი მონაწილეობდა, მაგრამ ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, მაინც უპირატესობა მიენიჭა „ლიბერთი ბანკს“. ამ საკითხით კმაყოფილი არ ვართ და კანონპროექტი გვაქვს შეტანილი პარლამენტში, რაზეც უკვე ვისაუბრე... დადებითი დასკვნა კომიტეტმა არ მისცა, მაგრამ ეს ვერ შეაჩერებს ამ პროცესს... საერთოდ, მონოპოლიის გაუქმებას გულისხმობს ჩვენი ინიციატივა და რა აბსურდია, რომ მოსყიდული დამიძახო! გუგავა რეკლამის დროსაც გავაფრთხილე, მოსყიდულს ნუ მიწოდებთ, გინებაზე უარესია ჩემთვის-მეთქი და უარესები იკადრა. საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს, მეტი თმენა უნდა მქონოდა, მაგრამ როცა ზღვარს გადადიან, უბრალოდ, ვერ იმორჩილებ საკუთარ თავს.

რუსეთ-უკრაინის ომის 100 დღე – ვინაა გამარჯვებასთან ახლოს

თათია გოჩაძე
598-43-50-34

3 ივნისს, მეასე დღე გახდა, რაც რუსეთი უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა. ამ დროის მონაცემებით, რუსეთის ჯარები უკრაინის ტერიტორიის, დაახლოებით, 20%-ს აკონტროლებენ, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ 5 ივნისს განაცხადა.

ამჟამად, რუსეთის არმიის ინტენსიური იერიშების სამიზნე ქალაქი სევეროდონეცკია. ქალაქში ქუჩის ბრძოლები მიმდინარეობს და მიუხედავად იმისა, რომ მის დიდ ნაწილს უკვე რუსეთი აკონტროლებს, უკრაინა წინააღმდეგობას განაგრძობს. ომის 100 დღის თავზე, რუსეთის სამხედრო ძალებმა კიევზე სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ მედიის ინფორმაციით, კიევის მცხოვრებლები დედაქალაქში ბრუნდებიან და ეს მონაცემი დღითიდღე იზრდება...

რუსეთ-უკრაინის ომის 100 დღე „ვერსიამ“ ევროპელი დემოკრატების ლიდერ პაატა დავითაიას შეაფასებინა:

პაატა დავითაია: „ეს ომი მსოფლიოს აწყობს“

– ზელენსკის სიტყვებს გავიმეორებ, 100 დღის შემდეგ, უკრაინის 20% აქვს ოკუპირებული რუსეთს. ე.ი. უფრო მეტი ტერიტორიაა ოკუპირებული, ვიდრე ომის დაწყებამდე იყო, რაც ცხადჰყოფს, რომ ეს გრძელვადიანი კონფლიქტია. უკვე ჩანს, რომ რუტინულ ომში გადაჰყავს რუსეთს პროცესი და 100 დღის თავზე ვნახეთ, რომ კიევიც კი დაბომბეს. რუსეთმა, ფაქტობრივად, აიღო აზოვის ზღვაზე კონტროლი და ლუგანსკის ტერიტორიის მხოლოდ 10%-ია დარჩენილი უკრაინის კონტროლქვეშ. დონბასის, დაახლოებით, 30%-ს აკონტროლებენ უკრაინელები. ეს ცხადჰყოფს, რომ რუსეთი ლუგანსკი-დონეცკის აღებით არ გაჩერდება და ამიტომაც აწვდიან ძალიან დიდი რაოდენობით იარაღს უკრაინას დასავლელი პარტნიორები, თუმცა სიმართლე გითხრათ, უფრო ადრე უნდა მიეცათ ყველაფერი ეს. ახლა კი ცოტა სხვა საფრთხეებს ვხედავ – დონეცკსა და ლუგანსკზე სრული კონტროლის დამყარების შემდეგ, მთავარი საფრთხე იქნება ოდესისთვის, რადგან როგორც ჩანს, რუსეთის გეგმაა, ზღვიდან ჩამოჭრას უკრაინა. უკრაინას კი ზღვაზე გასასვლელი რჩება ოდესაზე და თუ ასე განვითარდა მოვლენები, ეს ამბავი უკრაინას ძალიან მძიმე დღეში ჩააგდებს. ამის თეორიული შანსი არსებობს და ამიტომ ვამბობ, რომ დასავლეთმა უფრო მკვეთრი მხარდაჭერა უნდა გამოხატოს. უკრაინას არ აკლია მხარდაჭერა, მაგრამ საუბარია უფრო მკვეთრი შეიარაღების მიცემაზე, უკრაინელები ითხოვენ თვითმფრინავების გადაცემას და მთელი იმ შეიარაღების, რომელიც მიაყენებს დიდ ზიანს რუსეთს. საბოლოოდ, იმის თქმა მინდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში გაგრძელდება საბრძოლო მოქმედებები.

– პუტინმა, ცოტა ხნის წინ, შანტაჟის შემცველი მუქარა გაავრცელა, რომ თუ დასავლეთი უკრაინას უფრო ძლიერ შეიარაღებას გადასცემს, რუსეთი ახალ ობიექტებს ამოიღებს სამიზნეში. „ახალ სამიზნეში“, როგორ ფიქრობთ, რა იგულისხმა?

– უკრაინის მთელ ტერიტორიას ურტყამენ რუსები რაკეტებით, ამიტომ ახალი ობიექტები შეიძლება იყოს უკრაინის პარლამენტი, პრემიერ-მინისტრის ოფისი, თავდაცვის სამინისტრი, გენშტაბი, ზელენსკის ადმინისტრაცია... სხვა ახალი ობიექტები ნატო-ს წევრი ქვეყნებია და მათ თუ დაარტყა რუსეთმა, ე.ი. ნატო-სთან ომს იწყებს, რაშიც ეჭვი მეპარება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ უკრაინის ტერიტორიაზე, სარაკეტო დარტყმების მასშტაბის გაშლას გულისხმობდა ეს მუქარა. სწორედ ამ ულტიმატუმის შემდეგ მოხდა ის, რომ კიევი დაბომბეს. შეიძლება, ეს გაფრთხილებაა და შემდეგი დარტყმები იყოს ხელმძღვანელი პირების შენობებზე. ასე რომ, სამწუხაროა, რაც ხდება უკრაინაში. მეორე ავღანეთი გახდა უკრაინა შუა ევროპაში.

– ბატონო პაატა, თქვენს საუბარში პესიმიზმი და შიში შევნიშნე ანუ თუ აქამდე, ყველა ამბობდა, რომ უკრაინა უდავოდ გაიმარჯვებდა, ახლა საფრთხეს ხედავთ, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება?

– ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რომ პესიმისტურად ვარ განწყობილი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკრაინა არ გაიმარჯვებს, ამ გრძელვადიან ომში რუსეთი დამარცხებულია – აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ პესიმიზმში მაგდებს ის, რაც ემართება ამ ქვეყანას, უკრაინას. საუბარია აზოვის ზღვის ჩამოჭრაზე, რუსეთში, ასევე, განიხილავენ რამდენიმე ვარიაციას – უკრაინის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარება, მიერთება; ეს ტერიტორიები ჩაითვალოს უკრაინის „განთავისუფლებულ ტერიტორიად“ და „ლეგიტიმური ხელისუფლება“ აღადგინონ იანუკოვიჩის ხელმძღვანელობით და ამ „ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ“ დაიწყოს კიევისკენ სვლა. თუ ასე მოხდა, გამოვა, რომ ორი უკრაინაა და რუსეთი კი არ ომობს უკრაინის წინააღმდეგ, არამედ, ეხმარება „მეორე უკრაინის“ „ლეგიტიმურ ხელისუფლებას“, უკრაინის „განთავისუფლებაში“.

მთავარი მომენტი – დააკვირდით, რუსული ჯარების მოქმედებას. ფაქტობრივად, მიწასთან ასწორებენ ყველაფერს, ისე აკეთებენ, რომ მაცხოვრებელი იქ აღარ იყოს. ეს ცხადჰყოფს, რომ გრძელვადიან, მძიმე პროცესთან გვაქვს საქმე. ამასთან, არ გამოვრიცხავ, რომ რადგანაც მსოფლიო კრიზისი შეიძლება შეიქმნას ხორბალთან დაკავშირებით, რუსეთმა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში დაძაბოს სიტუაცია ამ მიმართულებით და დააბრალოს ეს დასავლეთს და უკრაინას, რაც ჰიბრიდული ომის ნიშნებია.

– როდესაც ვარაუდობთ, რომ ომი გრძელვადიანი იქნება, რა პერიოდს გულისხმობთ?

– დღეს უკრაინის ეკონომიკის 40% განადგურებულია და ვერ გაუძლებს, თუ დასავლეთისგან დაფინანსება არ ექნება არა მხოლოდ ფინანსური, არამედ, შეიარაღების თვალსაზრისითაც. გამოდის, რომ დასავლეთი ამისთვის მზადაა და განუსაზღვრელი რაოდენობით მისცემს ფულს. რაც შეეხება რუსეთს, ბევრი ამბობს, რუსეთში ეკონომიკა ინგრევაო. ასე არაა, მხოლოდ რეალისტურად ვუდგები საკითხს და ჩანს, რომ რუსეთი გრძელვადიანი ომისთვის მზადაა. ამბობენ, რომ ამ ომში 30 000 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. პირდაპირ გეტყვით, ეს რუსებისთვის არაფერია. მილიონნახევრიანი ჯარიდან, ეს მათთვის არაფერია, ისინი ამ ჯარისკაცებს ხალხად არ თვლიან. კი, ადამიანის სიცოცხლეზე ვსაუბრობთ, მაგრამ ჩემთვის ისინი ოკუპანტები არიან.

ამასთან, ომი ყოველთვის ქმნის ახალ „ფინანსურ ბორბლებს“, „გამოსავალს“ და ომი ზოგიერთებისთვის მომგებიანი ხდება ხოლმე, ფინანსურად.

– მომგებიანი ვისთვის?

– კონტრაბანდისტებისთვის... ომში ყოველთვის დიდი ფული კეთდება. ხანდახან, ფულის კეთების წყაროცაა ომი...

– ბატონო პაატა, გასათვალისწინებელია, როგორ შეეგუება დასავლური ცივილიზებული სამყარო იმას, რომ შუა ევროპაში, გრძელვადიანი ომი მიმდინარეობდეს?

– მოდით, ცივი გონებით ვიტყვი – ეს მსოფლიოს აწყობს, რადგან ომი მიდის უკრაინის ტერიტორიაზე და ხდება რუსეთის გამოფიტვა. გაიხსენეთ, ავღანეთში რვაწლიანი ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი დაინგრა და ახლაც დასავლეთი მუშაობს რუსეთის გამოფიტვაზე. აქაა, სამწუხაროდ, უკრაინელების მძიმე დღე.

– დიახ, დიდი დილემის წინაშე დგანან უკრაინელები...

– გეთანხმებით, უკვე იმ დონეზეა „შეტოპილი“, რომ გამოსავალი ერთია – ბრძოლა გამარჯვებამდე. დასავლეთი რუსეთთან მოლაპარაკებაზეც რომ წავიდეს, რუსეთი მარიუპოლს, დონეცკსა და ლუგანსკს დაუბრუნებს?! თუ ამ ოკუპირებული ტერიტორიებით უნდა დათანმხდეს უკრაინა მშვიდობიან მოლაპარაკებაზე?!.

– როგორც ჩანს, უკრაინასა და რუსეთს შორის, მოლაპარაკების რესურსი ამოწურულია, არა?

– დიახ, უკრაინელები ამბობენ, რუსეთი თუ არ თმობს, რაზე უნდა მოველაპარაკოთო?! ამიტომ ვამბობ, რომ, სამწუხაროდ, ეს ომი გრძელვადიანი იქნება.

– ბატონო პაატა, განცდა მაქვს, რომ ადამიანები თითქოს მივეჩვიეთ ომს... ემოციები მინელდა და თითქოს რუტინულ ამბად იქცა ომის საშინელი ამბების მოსმენა...

– ზოგადად, ადამიანს ეიფორია აქვს 32 დღის განმავლობაში, ამის შემდეგ, ადამიანი რეალობას ხედავს...

– ეს საინფორმაციო ომში, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს?

– ამ მომენტში კი, მაგრამ საბოლოოდ, რუსეთის სისტემის რღვევასაც უწყობს ხელს. იცით, რისი მეშინია? – ილუზიას ვიქმნით, რომ პუტინი წავა და ყველაფერი დამთავრდება, არადა, რუსეთში ოპოზიცია არ არსებობს. ამ ომმა ლიბერალური ოპოზიცია გაანადგურა. მოვა ისევ „პუტინი 2“ და რა, ის უკან დაიხევს?...

– აბა, გამოსავალს სად ხედავთ?

– სამწუხაროდ, უკრაინის ტერიტორიაზე მიდის აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნებისა და რუსეთის ფედერაციის შეტაკება და ყველაფერი ეს, როგორ დამთავრდება, არც მინდა ვთქვა.

რა გაძვირდა და რა გაიაფდა მაისში

1 ივლისიდან ბიზნესს გაზი გაუძვირდება

მაკა რუხაძე

უკვე ცნობილია, რომ ელექტროენერგიის იმპორტი საგრძნობლად გაძვირდა. 1 ივლისიდან კი მცირე და საშუალო ბიზნესს გაზის მიწოდებაც გაუძვირდება. საბოლოოდ, ყველაფერ ამას სხვადასხვა სახის პროდუქტის – კვების, მრეწველობის... გაძვირებაც მოჰყვება, რაც მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს. არადა, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის – „საქსტატის“ ბოლო კვლევის მიხედვით, 2022 წლის მაისში, საქართველოში წლიური ინფლაციის დონე 13.3%-ზე დაფიქსირდა, რის გამოც მთელი რიგი პროდუქტები გაძვირდა, თუმცა ცალკეული პროდუქტები გაიაფდა.

რა გაძვირდა და რა გაიაფდა მაისში

არც მეტი და არც ნაკლები – გაძვირდა კომბოსტო, თანაც „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულად სასარგებლო ეს პროდუქტი 297.4%-ით გაძვირდა. კომბოსტოსთან ერთად, მაისში გაძვირდა კიტრიც – 110.3%-ით; ყურძენი – 72.4%-ით; ქლიავი – 69.6%-ით; კარტოფილი – 67.3%-ით; მარგარინი – 58.2%-ით; სიმინდის ფქვილი – 56.4%-ით; ბადრიჯანი – 52.9 %-ით; წიწაკა – 48.1%-ით და დიზელის საწვავი – 49.4%-ით.

როგორც გითხარით, მიმდინარე წლის მაისში, გარკვეული პროდუქტები გაიაფდა. „საქსტატის“ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ყველაზე მეტად გაიაფდა ლიმონი – 19.8%-ით; ქალის ქვედაბოლო – 20.6%-ით; მამაკაცის შარვალი – 17.2%-ით; კომპიუტერი – 11.7%-ით; მამაკაცის ფეხსაცმელი – 11.6%-ით; ახალი მსუბუქი ავტომობილი – 10.2%-ით; ტურისტული მოგზაურობა ქვეყნის გარეთ – 9.9%-ით; ქალის საზაფხულო კაბა – 9.1%-ით; მობილური ტელეფონი – 8.3%-ით.

„უფრო კონკრეტულად, 2022 წლის მაისში, ხილი და ყურძენი, პური, თევზეული, ზეთი, მინერალური წყლები და უალკოჰოლო სასმელები გაძვირდა. ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე. ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი – ამ ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 6.2%-იანი მატება, რაც 0.64 პროცენტული პუნქტით აისახა თვის ინფლაციაზე“, – ვკითხულობთ „საქსტატის“ კვლევაში.

უწყების ცნობით, ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: ფაქტობრივი გადასახადი საცხოვრებელზე – 20.6%; საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება – 0.3%; სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 0.8%-ით, რაც თვის ინფლაციაზე 0.19 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი – 13.0%; პური და პურპროდუქტები – 4.8%; თევზეული – 1.8%; ზეთი და ცხიმი – 1.6%; მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები – 1.2%.

ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე – 4.5%-ით; ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.3%-ით, რაც 0.08 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები გაზრდილია, როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე – 2.0%-ით, ასევე, თამბაქოს ნაწარმზე – 0.3%-ით.

როგორც აღვნიშნეთ, მაისში ლიმონი 19.8%-ით გაიაფდა. ლიმონთან ერთად, ფასები შემცირდა კივზე – 4.4%-ით; ბანანზე – 2%-ით და ფორთოხალზე – 0.5%-ით.

ელექტროენერგიის იმპორტი გაძვირდა, გაზიც გაძვირდება

სხვადასხვა სახის პროდუქტების გარდა, საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტიც გაძვირდა. კერძოდ, თუ შარშან, აპრილში, ქვეყანამ ერთი კვტ/სთ დენი, საშუალოდ, 6 ცენტად იყიდა, წელს – გადახდილი თანხის მოცულობამ 7 ცენტი შეადგინა.

„უფრო კონკრეტულად, საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკოს) სტატისტიკის მიხედვით, 2021 წლის აპრილში, საქართველომ აზერბაიჯანში, რუსეთსა და თურქეთში, ჯამში, 259.600 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია იყიდა, აქედან, თურქეთში – 50.065 მილიონი კვტ/სთ, აზერბაიჯანში – 36.153 მილიონი კვტ/სთ. რაც შეეხება რუსეთს, შარშან აპრილში, საქართველოში ჩრდილოეთიდან 173.382 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგიის იმპორტი განხორციელდა, საიდანაც 170.643 მილიონი კვტ/სთ, ოკუპირებულ აფხაზეთს მიეწოდა. აფხაზეთისთვის იმპორტის თანხას საქართველო არ იხდის. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას რუსული დენის მხოლოდ მცირე ნაწილი – 2.739 მილიონი კვტ/სთ მოხმარდა. საბოლოო ჯამში, შარშან აპრილში, საქართველომ 88.957 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია იყიდა, რაც 4.397 მილიონი დოლარი დაიჯდა, კილოვატის საშუალო ღირებულება – 5 ცენტი იყო“, – ნათქვამია ესკო-ს განცხადებაში.

რაც შეეხება 2022 წლის აპრილს, უწყების ცნობით, წელს, იმპორტირებულ იქნა 70.611 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია, ჯამში – 4.275 მილიონი დოლარის ღირებულების, საშუალო ფასით – 6 ცენტი. შესყიდული ელექტროენერგიის უდიდესი წილი მოვიდა რუსეთზე, კერძოდ, მიმდინარე წლის აპრილში, საქართველომ რუსეთში იყიდა 69.803 მილიონი კვტ/სთ ელექტროენერგია, რაც 4.217 მილიონი დოლარი დაუჯდა, ერთი კილოვატის საშუალო ფასით – 6 ცენტი. აზერბაიჯანში შესყიდულ 0.808 მილიონ კვტ/სთ-ში, სახელმწიფომ 56.5 ათასი დოლარი გადაიხადა, ერთი კილოვატი – საშუალოდ, 7 ცენტად. აღსანიშნავია, რომ წელს აპრილში რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიას მოხმარდა და აფხაზეთს არ მიწოდებია.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველო ყოველწლიურად, საშუალოდ, 65-78 მილიონი დოლარის ელექტროენერგიას ყიდულობს. მთავარი იმპორტიორები არიან მეზობელი ქვეყნები – რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი.

2022 წლის 1 ივლისიდან, რეგიონებსა და თბილისში, გაზის ტარიფი არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის – ბიზნესისთვისაც იზრდება. შედეგად, გაზის ტარიფი 20 000-მდე ბიზნესს გაუძვირდება.

2022 წლის 1 ივლისიდან, არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის ღირებულება იზრდება, როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში. დედაქალაქში 1 კუბური მეტრი ბუნებრივი აირი ბიზნესისთვის – 1.35 ლარი, ხოლო რეგიონებში – 1.38 ლარი გახდება.

საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებაში დარღვევებია გამოვლენილი

სახელმწიფო აუდიტის მორიგი დასკვნა

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საჯარო მმართველობით დაინტერესდა. აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, საჯარო მოხელეთა პროფესიულ განვითარებას ეხება. საჯარო მმართველობის წინაშე მდგარი ამოცანების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია პროფესიონალი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანური რესურსების არსებობა და მათი ეფექტიანი მართვა, რაც სტრატეგიული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად ითვლება. საჯარო სამსახურის ბიურომ, რეფორმის ფარგლებში, დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, არაერთი აქტივობა განახორციელა, თუმცა სახელმწიფო აუიტორების მტკიცებით, რიგი საკითხები კვლავ აქტუალურია, რისთვისაც სათანადო ღონისძიებების გატარება აუცილებელია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება აუდიტი, რომლის მოკლე მიმოხილვასაც ამჯერად გთავაზობთ.

ხარვეზები ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებში

ზოგადად, ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის მნიშვნელოვანი პირობაა, რომ ორგანიზაციებში შემუშავებული იყოს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია, ხოლო საჯარო სამსახურის ბიურო, საკუთარი ფუნქციებიდან გამომდინარე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, შეისწავლის, აანალიზებს და მონიტორინგს უწევს საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას.

სახელმწიფო აუდიტორების მიერ შერჩეული ოთხი სამინისტროდან, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია არ შეუმუშავებიათ განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებს, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ, აუდიტორებისთვის წარდგენილი სტრატეგიები შემუშავებული და დამტკიცებული იყო 2021 წელს. შესაბამისად, გათვალისწინებული აქტივობების უმეტესობას ჰქონდა მიმდინარე სტატუსი.

„აქედან გამომდინარე, პროფესიული განვითარების მიმართულებით, საჯარო სამსახურის ბიურომ ვერ განახორციელა ადამიანური რესურსების სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი ამოცანებისა და მიდგომების მიმოხილვა და შეფასება. მიუხედავად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ხელშესაწყობის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა, აღნიშნული მიმართულებით არსებული მდგომარეობა საჭიროებს გაუმჯობესებას“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიურო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაციას და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს მოხელეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად, აწარმოებს და აანალიზებს საჯარო მოხელეთა შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას, მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო სექტორს და აღნიშნულ სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, შესაბამის დასკვნებსა და წინადადებებსაც ამზადებს. ვნახოთ, რა დარღვევები გამოავლინეს აუდიტორებმა ამ ნაწილში:

„საქართველოს კანონით „საჯარო სამსახურის შესახებ“, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით, იქმნება საჯარო სამსახურის საბჭო, რომელიც იკრიბება ექვს თვეში ერთხელ, თუმცა ბიუროს განმარტებით, აუდიტის პერიოდში, საბჭო არ შექმნილა!“

აუდიტის მიმდინარეობისას, ოთხი სამინისტროს მაგალითზე, გაანალიზდა პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის პროცესი, სასწავლო გეგმებისა და მისი შემდგომი უზრუნველყოფის შესახებ მონაცემები, ასევე, აღნიშნული პროცესის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ბიუროს მიერ გატარებული აქტივობები.

ხარვეზები საჯარო სამსახურის ბიუროში

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ იმ ოთხ სამინისტროს, რომლებიც აუდიტისთვის შეარჩიეს, საჯარო სამსახურის ბიუროში არ ჰქონდათ წარდგენილი პროფესიული განვითარების გეგმები, ან წარდგენილი გეგმები არ იყო სრულყოფილი. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების გეგმების წარდგენა ფორმალურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, ბიუროს მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი ინფორმაციის სრულყოფილი ანალიზი და შეფასება:

„პროფესიული განვითარების გეგმების შედგენის პროცესში, არ იკვეთება მკაფიო კავშირი შესწავლილი სამინისტროების მიერ დაგეგმილ ტრენინგებს, ორგანიზაციის პრიორიტეტებსა და ამოცანებს შორის, რადგან დაგეგმილი ტრენინგები ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებადაა ორიენტირებული დარგობრივი მიმართულებით კომპეტენციების ამაღლებასა და განვითარებაზე. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი სპეციალიზებული და პრიორიტეტული მიმართულებით ცოდნისა და გამოცდილების განვითარების შესაძლებლობა. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ზემოაღნიშნული გარემოებები კვლავ გამოწვევად რჩება“.

სახელმწიფო აუდიტორებმა შესწავლილი სამინისტროებიდან მიწოდებული ინფორმაცია გააანალიზეს და გამოკვეთეს, რომ პროფესიული განვითარების დამატებითი პროგრამების ჯამური შესრულების მაჩვენებელი მცირე იყო – საშუალოდ, 14% შეადგინა. დაბალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა ფაქტობრივად ჩატარებულ ტრენინგებში დარგობრივი თემატიკის ტრენინგების წილი, რომელმაც ჯამურად ჩატარებული დამატებითი ტრენინგების 17% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დარგობრივი მიმართულებით ჩატარებული ტრენინგები არ იყო გათვალისწინებული პროფესიული განვითარების გეგმებში, რაც აუდიტორების მტკიცებით, მიუთითებს ორგანიზაციული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების სათანადოდ შესრულების რისკებისა და დაგეგმვის პროცესის ნაკლოვანებაზე.

აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ ტრენინგების ჩატარება, ძირითადად, უზრუნველყოფილია დონორებისგან მიღებული დაფინანსებით, რადგან სამინისტროების ბიუჯეტი არ არის საკმარისი პროფესიული საჭიროებების სათანადოდ უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ დონორები აქტიურად არიან ჩართულები სწავლების პროცესის მხარდასაჭერად, ხშირ შემთხვევებში, სამინისტროებისთვის რთულია, წინასწარ, მეტი სიზუსტითა და საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრონ პროფესიული განვითარების გეგმები.

ხარვეზები პროგრამების ხარისხის კონტროლში

საჯარო მოსამსახურეების პროფესიული გადამზადების ნაწილში, აკრედიტაციას ექვემდებარება მხოლოდ საბაზისო პროგრამები, დამატებითი პროგრამები კი, შესაძლებელია დაექვემდებაროს აკრედიტაციას, თუმცა საჯარო დაწესებულებების მოთხოვნის საფუძველზე. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მსგავსი მოთხოვნით, აუდიტის პერიოდში, ბიუროსთვის არ მიუმართავთ.

„ცხრა სამინისტროდან მოწოდებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დამატებითი სასწავლო პროგრამებისა და მასში მონაწილეთა წილი გეგმაში, საშუალოდ, 90%-ია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება საბაზისო პროგრამების მაჩვენებლებს. დამატებითი სასწავლო პროგრამების სტანდარტისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები არ არის დადგენილი, ხოლო საჯარო დაწესებულებების უმეტესი ნაწილისთვის შეფასება შემოიფარგლება სწავლების შემდგომ პროგრამაში მონაწილეთა მიერ შევსებული „კმაყოფილების“ კითხვარით, რაც კარგი პრაქტიკის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად. შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროსთვის საჯარო სამსახურში არსებული კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების დონის შესწავლა გამოწვევად რჩება და არსებობს რისკები, რომ დამატებითი სასწავლო პროგრამების მიზნები ვერ შესრულდეს“.

გაირკვა ისიც, რომ აუდიტის პერიოდში, ცხრა სამინისტროდან, ექვსის შემთხვევაში, არ იყო მოწოდებული სრულყოფილი ინფორმაცია დაგეგმილი სწავლებების შესახებ ადამიანური რესურსების მართვის – eHRMS სისტემაში, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ენიჭება HR-ის მიმართულებით, ეფექტიანი მართვის განხორციელების მხარდასაჭერად. იმავდროულად, შესრულების ნაწილში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სწავლებაში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა ასახულია ჯამურად, რაც ართულებს საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობას, გააკეთოს სრულყოფილი ანალიზი, შეფასებები და გასცეს სათანადო რეკომენდაციები.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის აუდიტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს პანდემიით გამოწვეული ეფექტები, რამაც, აუდიტორების მტკიცებით, უარყოფითი გავლენა იქონია პროფესიული განვითარების პროცესზე.

9 მკვლელობა და 42 გაუპატიურება

ვინ იყო საბჭოთა კავშირში პირველი სერიული მკვლელი

ბათო ჯაფარიძე

ანდრეი ჩიკატილო – კაცი, რომლის სახელსაც სერიული მკვლელობები უკაავშირდება. ოფიციალური მონაცემებით, მან 53 ადამიანი მოკლა, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ მსხვერპლთა რიცხვი ბევრად მეტი იყო. ჩიკატელო 1978-დან 1990 წლამდე, დაუნდობლად აუპატიურებდა და ხოცავდა მოზარდებს. მას დასავლურმა პრესამ „როსტოველი მფატრავი“, „ტყის ზოლის მკვლელი“, „საბჭოთა ჯეკ მფატრავი“ და კიდევ არაერთი სახელი შეარქვა. საინტერესოა, რომ პირველი მკვლელობა, რომელიც ჩიკატილომ ჩაიდინა, საბჭოთა მილიციამ „ოპერატიულად გახსნა“ და ვინმე ალექსანდრ კრავჩენკო დახვრიტეს. მხოლოდ 12 წლის შემდეგ გაირკვა, რომ კრავჩენკო ტყუილად დახვრიტეს და რეალური მკვლელი სხვა იყო. პირველი მკველობა ჩიკატილოს ყველაზე კარგად ახსოვდა. ამიტომ, დეტალურად გაიხსენა, რა, როგორ მოხდა და... კრავჩენკოს დახვრეტისთვის არავინ დაუსჯიათ. ყველაფერი ეს კი იმიტომ გავიხსენე, რომ ოფიციალურად, სწორედ 70-იანების მიწურულს აღიარა საბჭოთა ხელისუფლებამ სერიული მკვლელის არსებობა. მანამდე მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ სერიული მკვლელობები **საბჭოთა კავშირში არ ხდებოდა და ეს მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნების ხვედრი იყო. არადა...**

1970 წელს, უკრაინის ქალაქ დნეპრში, ახალგაზრდა ქალი გაუპატიურებული და გარდაცვლილი იპოვეს. რა თქმა უნდა, ადგილობრივი მილიცია ყველაფერს გულისყურით მოეკიდა, მაგრამ მომდევნო დღეებში, სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ, გაუპატიურებისა და მკვლელობების რიცხვი ათს გასცდა. უფრო ზუსტად, კიდევ ორი ქალი მოკლეს, შვიდი კი გააუპატიურეს და ისინი სიკვდილს გადაურჩნენ. სამართალდამცავებმა ყველა დაკითხეს და გაარკვიეს, რომ ყველა შემთხვევაში, თავდამსხმელი ერთი და იგივე პიროვნება იყო. ის ქალებს თავს უკნიდან ესხმოდა, თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით, ან პირზე ხელის აფარებით, გრძნობის დაკარგვამდე მიჰყავდა, შემდეგ კი აუპატიურებდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში კლავდა, თუ მსხვერპლი აზრზე მოვიდოდა და რაც მთავარია, დამნაშავის სახეს დაინახავდა.

ყველა მიხვდა, რომ ეს სერიული დანაშაული იყო, როგორც მკვლელობის, ისე ძალადობის მიმართულებით, მაგრამ ამის აღარება არ შეიძლებოდა. საქმე რაც შეიძლება მალე უნდა გახსნილიყო, რადგან თუ აღნიშნული ინფორმაცია უცხოურ მედიაში გაჟონავდა, საბჭოთა კავშირს სირცხვილი არ ასცდებოდა.

მოდით, ახლა თემიდან ცოტა გადავუხვიოთ და „იუჟმაშზე“ ვისაუბროთ. ეს არის ერთ-ერთი უდიდრესი მანქანათმშენებელი ქარხანა უკრაინაში, კერძოდ, ქალაქ დნეპრში და ვაი, რომ ამ დონის საწარმო შესაძლებელი იყო ჩენთანაც აშენებულიყო. ქუთაისი, დნეპრი, ოდესა, ნოვოსიბირსკი, ირკუტსკი – ეს იმ ქალაქების ჩამონათვალია, სადაც საბჭოთა ხელისუფლებამ მანქანათმშენებელი ქარხნების აგება ბრძანა და თან ისე, რომ საჭიროების დროს, ქარხნები მარტივად გადაკეთებულიყო და ტანკები და თვითმფრინავები ეწარმოებინათ. ყველაზე მასშტაბური, სწორედ „იუჟმაში“ („იუჟნი მაშინასტროიტელნი ზავოდ“) გამოვიდა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვიღაცამ მოსკოვში „იჩალიჩა“, რომ გამოყოფილი თანხების უდიდესი ნაწილი უკრაინაში წასულიყო და ეს იმის მიუხედავად, რომ ქარხნების აშენების ბრძანება მეორე ომის დასრლებამდე ერთი წლით ადრე, 1944 წელს გაიცა, ექსპლუატაციაში კი 1951 წელს შევიდა ანუ მაშინ, როცა ჯერ კიდევ სტალინი და ბერია ცოცხლები იყვნენ და თავისუფლად შეიძლებოდა საქმის „გაიმასქნება“. ჰო, ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა, საავტომობილო მრეწველობის კუთხით, დღემდე უდიდესი საწარმოა საქართველოში. რაც შეეხება „იუჟმაშს“, უკრაინა-რუსეთის ომის დაწყებამდე, ერთ-ერთმა სამხრეთ კორეულმა კომპანიამ მასში 870 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, თუმცა... ეს ქარხანა გახსნის დღიდან, სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საყრდენი და რაც მთავარია, საიდუმლო და დაცული ობიექტი იყო. ქარხანა დღემდე სახელმწიფოს საკუთრებაა...

ისევ მკვლელობათა სერიას დავუბრუნდეთ. საქმე სასწრაფოდ უნდა გახსნილიყო და ამიტომ, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან დნეპრში ერთბაშად სამი ათასი მაძებარი ჩავიდა. მათ რაც შეიძლება სწრაფად უნდა ეპოვათ დამნაშავე, მაგრამ ამაოდ – იმ ორი თვის განმაავლობაში, რომელიც ამ სამი ათასმა მაძებარმა უკრაინაში გაატარა, ერთი დანაშაულიც არ მომხდარა. ცხადი იყო, დამნაშავე დაფრთხა და დაიმალა, მაგრამ როგორც კი ეს ადამიანები საკუთარ ქვეყნებს დაუბრუნდნენ, დამნაშავე მაშინვე სანადიროდ გამოვიდა და ერთ კვირაში, გაუპატიურების სამი გაუხსნელი შემთხვევაც დაფიქსირდა. საუბარი იმის შესახებ, რომ დამნაშავე სამართალდამცავი იყო და იცოდა სამი ათასი კაცის ჩამოსვლისა და შემდეგ წასვლის შესახებ, არასერიოზული იყო. ამ ადამიანების ვოიაჟი ძალოვნებმა კი არა, მთელმა უკრაინამ იცოდა და მათ იმედითაც უყურებდა, მაგრამ ამაოდ. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ არცერთ შემთხვევაში, დამნაშავე კვალს არ ტოვებდა, თუმცა სავარაუდოდ, მანიაკალური გრძნობების დასაკმაყოფილებლად, ყველა მსხვერპლს რაიმე ნივთს აცლიდა და თან მიჰქონდა, იქნებოდა ეს საყურე, ყელსაბამი, თმის სამაგრი, თავშალი თუ სხვა რამ ანუ მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად ღირებული იყო ნივთი, მთავარი იყო, ჰქონოდა, რათა შემდეგ გაეხსენებინა. ფსიქოლოგებმა გამომძიებლებს უთხრეს, რომ არ უნდა ჰქონოდათ იმის იმედი, რომელიმე ნივთი სადმე, შავ ბაზარზე გამოჩნდებოდა, რადგან ეს არ იყო სარგებლის მისაღებად წაღებული ნივთები, ეს იყო სერიული მოძალადისა და მკვლელის ჯილდო, რომელიც მას ცხოველური ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა.

ძალოვნები სასწაულის იმედად იყვნენ და თითქოს, სასწაული მოხდა, ოღონდ თითქოს. ერთ-ერთი ქალი, რომელიც მოუხელთებელმა მამაკაცმა გააუპატიურა, გადარჩა და აზრზე მოვიდა, თუმცა ეს მოძალადემ ვერ შენიშნა. სამაგიეროდ, ქალმა ძალიან კარგად დაიმახსოვრა მისი სახე და მილიციაშიც მივიდა. ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქალი ვერ ახერხებდა მის აღწერას, ვერ ამბობდა, როგორი იყო და ფოტორობოტოს შექმნაც გამოირიცხა. სამაგიეროდ, ქალი გადაჭრით ამბობდა – თუ სადმე დავინახავ, აუცილებლად ვიცნობო. სად უნდა ეძებნათ დამნაშავე? მართალია, მაშინ დნეპრის მოსახლეობა იმდენი არ იყო, რამდენიც ახლაა, მაგრამ უკრაინის სიდიდით მესამე ქალაქში, ასი ათასობით ადამიანი ცხოვრობდა. შესაძლებლობა, რომ დაზარალებული მოძალადეს შემთხვევით სადმე შეხვედროდა, ძალიან მცირე იყო. ამ მოსაზრებას საქმის გამომძიებელი არ დაეთანხმა, უფროსობას უთხრა, გეგმა მაქვს, ორი კვირა სხვა საქმეებს უნდა ჩამომაცილოთ და არც არაფერი მკითხოთო. უფროსობა დათანხმდა და გამომძიებელიც საქმეს შეუდგა. მან დაზარალებულს ხელი ჩასჭიდა და დილიდან გვიან ღამემდე, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში დაჰყავდა – რკინიგზის სადგურზე, იაფფასიან სასადილოებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, უბრალოდ, ქუჩაში, სტადიონზეც კი. ამან შედეგი ვერ გამოიღო.

გამომძიებელი და დაზარალებული განყოფილებაში ბრუნდებოდნენ, რათა ქალს დაედასტურებინა, რომ ძალოვანი მთელი ორი კვირა, მართლაც, მას დაჰყვებოდა, არცერთი წამით არ დაუსვენია, თუმცა უშედეგოდ. ჰოდა, ტროლეიბუსში ქალი ერთ მგზავრს დააშტერდა, მერე კი ბოლო ხმაზე იყვირა – ის არის! მგზავრმა ერთი გამოიხედა და გაქანებული ტრამვაიდან გადახტა. გამომძიებელი არც დადევნებია, მიხვდა, ძლიერ ახალგაზრდასთან შანსი არ ჰქონდა. სამაგიეროდ, მისი სახე კარგად დაიმახსოვრა და ფოტორობოტიც შეადგინა.

აღნიშნული ფოტორობოტით ოპერმუშაკებმა მთელი დნეპრი სამ დღეში შემოიარეს და შედეგიც დადეს – ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანი ძალიან ჰგავდა „იუჟმაშის“ ქარხნის მუშას, ვინმე ალექსანდრ ბერლიზოვს. გარდა იმისა, რომ ქარხანაში მუშაობდა, კომკავშირის ახალგაზრდულ ფრთასაც ხელმძღვანელობდა.

„არ შეიძლება, კომკავშირელი და საიდუმლო ქარხნის მუშა სერიული მკვლელი იყოს. მე უფრო მყარი არგუმენტები მჭირდება მის დასაპატიმრებლად, ვიდრე ფოტორობოტზე მსგავსებაა“, – თქვა ქალაქის პროკურორმა და ზემოდანაც მხარი დაუჭირეს.

გარდა იმისა, რომ ეს მთელი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სირცხვილი იყო, ეს იყო სისტემის მარცხი. გამომძიებელმა ბერლიზოვი დაზარალებულ ქალს ჩუმად დაანახა და მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, სწორედ ის არისო. სერიული დამნაშავის ანგარიშზე უკვე ცხრა მკვლელობა და 42 გაუპატიურება ირიცხებოდა. საქმის გამომძიებელმა იმდენი მოახერხა, რომ პროკურორს ბერლიზოვის ბინის ჩხრეკის ორდერი გამოსტყუა და მისი სახლი გულდასმით შეამოწმა. კარადაში, სრულიად ღიად და დაუფარავად, ის ნივთები აღმოაჩინეს, რომლებიც გაუპატიურებულ თუ მოკლულ ქალებს ააცალა. პროკურორმა სანქცია დაუყოვნებლივ გასცა და საქმის სიმძიმის მიუხედავად, სასამართლო ოთხ თვეში დასრულდა.

განაჩენი თავიდანვე ცხადი იყო – დახვრეტა, თუმცა სასამართლომდე, ბერლიზოვის ის საბუთები გააქრეს, რომლითაც კომკავშირში ირიცხებოდა და ამით პარტიას ნამუსი მოსწმინდეს.

განაჩენის გამოტანიდან ორ თვეში, ალექსანდრ ბერლიზოვვი დახვრიტეს. რეალურად, სწორედ ის იყო ჩიკოტილომდე საბჭოთა კავშირის ყველაზე საშიში სერიული დამნაშავე, თუმცა ამაზე მაშინდელი ხელისუფლებაცა და პრესაც საიმედოდ დუმდა.

სამართალი

№22 8 ივნისი 2022 წ

შეცვლილი გვამები და მკვლელობა სასაფლაოზე

ბათო ჯაფარიძე

თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში ძალიან რთულია, სამართალდამცავებს აჯობო. კრიმინალმა უნდა მოიფიქროს ისეთი რამ, რაც სახელმწიფო მანქანას ვერ მოერევა, ვერ მოატყუებს და დროის გასვლასთან ერთად, ეს სულ უფრო და უფრო ძნელდება. ცხადია, რომ არცთუ შორეულ მომავალში, ვიდეოთვალი ყველა სოფელშიც კი იქნება და პრაქტიკულად, სახლის ფანჯრებშიც კი შემოიხედავენ. ამის მიუხედავად, კრიმინალთა ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და ახლა გიამბობთ ისტორიას, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სასაფლაოს შესასვლელთან, ყვავილებით მოვაჭრე ქალი, იმავე სასაფლაოზე გარდაცვლილი იპოვეს. მას თავში, სავარაუდოდ, ჩაქუჩი ჰქონდა ჩარტყმული და ვერსიაც გაჩნდა – ქალბატონი დღისით გასაყიდ ყვავილებს ღამით, საფლავებიდან იღებდა და მეორედ ჰყიდდა. ამის გამო, არაერთხელ გააფრთხილეს და შესაძლოა, რომელიმე ჭირისუფალმა გაიმეტაო. მისმა კოლეგებმა ისიც გაიხსენეს, რამდენიმე დღის წინ, ერთი ბიჭი მიუვარდა, ჩემი საცოლის საფლავიდან ასი ცალი ვარდი რატომ მოიპარეო და მოკვლითაც დაემუქრაო. ბიჭი მალე იპოვეს, მაგრამ გაოცებისგან პირი დააღო, კი გავბრაზდი, მაგრამ ყვავილების გამო, ადამიანს როგორ მოვკლავდიო? არადა, მისი ფეხსაცმლის ძირზე, სასაფლაოს ტალახი იყო და ნაკვალევი ზუსტად ემთხვეოდა იმას, რომელიც ქალის გვერდით იპოვეს.

ბიჭმა დაადასტურა, სასაფლაოზე ვიყავი, ყოველ მეორე დღეს ავდივარ, მაგრამ იქ მკვდარი არავინ მინახავსო. გადაამოწმეს მობილური ტელეფონის ლოკაცია და სხვაობა, დაახლოებით, 15-წუთიანი იყო ანუ ბიჭს თავისუფლად შეეძლო, ყვავილების გამყიდველი მართლა მოეკლა, მაგრამ გამოძიებას პირდაპირი მტკიცებულება, უბრალოდ, არ ჰქონდა.

დაკითხეს სასაფლაოს დარაჯი, რომელიც საფლავების მეთვალყურეობის ნაცვლად, საღამოს თვრებოდა, ეძინა და დილით შინ მიდიოდა. თქვა კიდეც, ამდენ მიცვალებულს ფხიზლად ვერ ვუყურებ და დალევაც ამიტომ დავიწყეო, თუმცა ისიც გაიხსენა, ბოლო ორი თვეა, ეს ქალბატონი სასაფლაოზე ღამით რამდენჯერმე მოვიდა და ვიღაც ახალგაზრდა კაცს შეხვდაო. დარაჯს დაკავებული ბიჭის ფოტო აჩვენეს, მაგრამ მან მტკიცედ თქვა, ამას ვიცნობ და ვისაც მოკლული ხვდებოდა, უფრო ასაკოვანი და უფრო მაღალიაო. მეტიც, დარაჯმა გონება დაძაბა და ისიც გაიხსენა, რომ სწორედ ეს ბიჭი დაინახა იმ ღამეს საყარაულო ჯიხურის ფანჯრიდან და მას ხელში ან პატარა წერაქვი ეკავა, ან ჩაქუჩიო. მიხვდნენ გამომძიებლები, რომ დარაჯმა მკვლელი დაინახა, მაგრამ ვინ?! დარაჯს ის სხვა დროს სასაფლაოზე არ ჰყავდა ნანახი და ამიტომ, ვერ ამბობდა, ვის აკითხავდა ჭირისუფალი, თორემ ასე კვალზე გასვლა შეიძლებოდა.

ძიება ჩიხში შევიდა. მეტიც, სხვა ვერსია, უბრალოდ, არ იყო, დაკავებულიც გაათავისუფლეს და რაც მთავარია, გარდაცვლილის ყველა კონტაქტის გადამოწმების შედეგად, საეჭვოს ვერაფერს მიაგნეს. ცუდი ის იყო, რომ ქალს ტელეფონი არ ჰქონდა, ამიტომ არავინ ურეკავდა და არავის ურეკავდა. მისმა კოლეგებმა კი გაიხსენეს, ვიღაცები მოდიოდნენ, ფულს უტოვებდნენ, ეუბნებოდნენ, ამა და ამ საფლავზე ყვავილები დააწყვე, ან გაასუფთავეო და ისიც ხან აკეთებდა, ხან – არაო. მოსაზრება, რომ ვიღაცას ყვავილების

გამდიდრების თაღლითური სქემა – ახალგაზრდა მამაკაცი თავს გარდაცვლილი ბიზნესმენის შვილად ასაღებდა

ლაფერი ეს, ყელში ამოუვიდა და გამწარებულმა მოკლა, კიდევ უფრო გამყარდა, თუმცა ეჭვმიტანილი მაინც არ ჩანდა. ჰო, ყვავილების ერთ-ერთმა გამყიდველმა გაიხსენა, ვიღაც მაღალი ბიჭი, ბოლო სამი თვის განმავლობაში, რამდენჯერმე იყო მოსული და ქალს ეუბნებოდა, დღეს, საფლავზე ყვავილები დააწყვეო, თუმცა ფული არასდროს დაუტოვებია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უცხო მამაკაცი, უბრალოდ, იმას მიანიშნებდა, როდის უნდა შეხვედროდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა ასაკოვან ქალს და ახალგაზრდა მამაკაცს, თანაც რატომ უნდა შეხვედროდნენ ისინი მაინცდამაინც სასაფლაოს ტერიტორიაზე და არა – სხვაგან?

გამომძიებლებმა ყვავილების გამყიდველი ქალები გააფრთხილეს, ის კაცი კიდევ თუ გამოჩნდება, გვითხარითო, თუმცა ორი კვირა ისე გავიდა, არავინ გამოჩენილა.

სამაგიეროდ, დარაჯი გამოჩნდა და თან როგორი ინფორმაციით – ის ბიჭი დღეს დავინახე, ერთ-ერთი საფლავის ეგსგუმაცია მოხდა და იქ იმყოფებოდაო. სამართალდამცავებს არ გასჭირვებიათ არც გახსნილი საფლავის აღმოჩენა და არც ბიჭის ვინაობის დადგენა – ის სამი წლის წინ გარდაცვლილი ბიზნესმენის შვილად ასაღებდა თავს და ოფიციალურ შვილებს სამკვიდროს სთხოვდა. საუბარი რამდენიმე ბინაზე, მანქანებსა და რაც მთავარია, სოლიდურ ბიზნესზე იყო. ის ფრთხილად გამოჰკითხეს, მაგრამ მეყვავილესთან ნაცნობობა და შეხვედრები უარყო, ხოლო როცა მეორე მეყვავილე დააპირისპირეს, რომელიც ამტკიცებდა, გარდაცვლილს ესაუბრებოდაო, ხელი აიქნია, ერთიანად ვაძლევდი დიდ თანხას და შემდეგ ვეუბნებოდი, მამაჩემის საფლავზე ყვავილები როდის დაეწყოო. როგორც აღმოჩნდა, ბიჭის მამაც, დაახლოებით, სამი წლის წინ გარდაიცვალა, დედა – სამი თვის წინ და სწორედ სიკვდილის წინ უთხრა დედამ, შენი ნამდვილი მამა ის გარდაცვლილი ბიზნესმენიაო.

სამართალდამცავებმა ვერაფერი თქვეს, რასაც ბიჭი ყვებოდა, ყველაფერი სიმართლე ჩანდა – მამა სამი წლის წინ გარდაიცვალა, დედა – სამი თვის წინ...

დაკავებული გაათავისუფლეს, დნმ-ს ანალიზმა კი აჩვენა, რომ მართლაც, გარდაცვლილი ბიზნესმენის შვილი იყო, დამთხვევა, ლამის, 100%-იანი გამოდგა. არადა, ბიზნესმენს ამ მხრივ უმწიკვლო რეპუტაცია და ნამდვილი მეოჯახის სახელი ჰქონდა, მაგრამ რა უნდა ექნათ შვილებს, კვლევის შედეგები წინ ედოთ, თანაც ახლადგამოჩენილი მემკვიდრე ბევრს არაფერს ითხოვდა – ბინას, მანქანას და ერთ-ერთ მცირე ბიზნესს.

საბუთების მოგროვება დაიწყო, როცა გამომძიებლებთან ის ექსპერტი მივიდა, რომელიც ეგსგუმაციას ესწრებოდა და სასხვათაშორისოდ თქვა, არ ვიცი, ამას მნიშვნელობა აქვს თუ არა, მაგრამ ათეულობით ეგსგუმაციას დავსწრებივარ და პირველად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საფლავი არცთუ დიდი ხნის წინ, უკვე გათხრილი იყოო. ძალოვნებმა ერთმანეთს გადახედეს და გეზი სასაფლაოსკენ აიღეს. მათ ექსპერტები წაიყვანეს და ის საფლავი დაათვალიერებინეს, რომელშიც ეჭვმიტანილის დედ-მამა იყვნენ დასაფლავებულნი. მიწის ჩიჩქნის შემდეგ, ექსპერტებმა თქვეს, რომ ქალის საფლავის მიწაყრილი და მისი სამი წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის მიწაყრილი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ანუ კაცის საფლავი გახსნილი არ ყოფილა. შესაბამისად, ეჭვი, რომ ბიჭმა ჩონჩხი შეცვალა, გამოირიცხა. საფლავს თუ ვერ ამოთხრიდა, ძვლებს ვერ ამოიღებდა. გამოძიებას ეს ძაფიც ხელიდან გაუსხლტა, თუმცა...

„ნარკომანი გვყავს დაჭერილი, დოზას და გაშვებას ითხოვს და გვეუბნება, ისეთ საქმეს გაგიხსნით, რომ ვერც კი წარმოგიდგენიათო და სასაფლაოზე მოკლულ ქალს ახსენებს“, – უთხრეს მკვლელობის განყოფილების თანამშრომლებს ნარკოდანაშაულთან მებრძოლმა კოლეგებმა. ნარკომანი დასაკითხ ოთახში შეიყვანეს, დოზაც გაუკეთეს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, ხილის წვენებიც დაუდგეს და სმენად იქცნენ.

„ის ბიჭი, ბიზნესმენის შვილად რომ ასაღებს თავს, ჩემი ძმაკაცია. როცა დედა გარდაეცვალა, იმის ფულიც არ ჰქონდა, რომ მესაფლავეები დაექირავებინა და საფლავის თხრა ჩვენ დავიწყეთ. აბა, ჩვენ რისი მთხრელები ვართ, აგვერია, დაგვერია სიღრმე-სიგანე და მამამისის კუბოს ფიცარს მივარტყით ბარი, იქიდან კი თავის ქალა გადმოგორდა. ამ ჩემმა ძმაკაცმა თავი გადააქნია, აგერ, სამი საფლავის იქეთ დიდი ქვა რომ დგას, ეგ კაცი უმდიდრესი ბიზნესმენი იყო და ეგ და მამაჩემი ერთ დღეს დაასაფლავეს, რა იქნებოდა, ის ყოფილიყო მამაჩემის საფლავი, ახლა მილიონერი ვიქნებოდიო. მოკლედ, მამამისის ძვლები უკან შევყარეთ და ფიცარიც მივადეთ. ღამით კი... ღამით გენიალური იდეა დაებადა, დედის გასვენება ორი დღით გადაწია, ამ ორი დღის განმავლობაში, იმ ბიზნესმენის საფლავს ძალიან ფრთხილად ვთხრიდით. ზემოდან ხელოვნური ბალახის ხალიჩა აფარია, გადავწევდით, ამოვთხრიდით, დავაფარებდით. ასე ჩავედით ძვლებამდე და ძვლები შევცვალეთ, ის ჩონჩხი აქეთ, ეს – იქით. მეყვავილე ქალი დაბოდიალობდა ხოლმე, დღისით გაყიდულ ყვავილებს იპარავდა და დაგვინახა. ჩემი ძმაკაცი ათას დოლარს დაპირდა, მაგრამ ის აჩქარებდა, ამდენი დრო არ მაქვს, ფული ახლა მჭირდებაო. ჰოდა, როგორც ჩანს, არასასურველი მოწმე მოიშორა. დანარჩენი კი იცით. ჩემი წილი ათი ათასი უნდა ყოფილიყო. მე რა, არც არავინ მომიკლავს და არც დამიმარხავს“, – თქვა ნარკომანმა.

ძალოვნებმა ცრუ მემკვიდრე ერთ საათში დააკავეს და ისიც იძულებული გახდა, ყველაფერი ეღიარებინა. ბიზნესმენის შვილებს კი მამის სახელის გადარჩენა უფრო გაუხარდათ, ვიდრე მისი ქონების ნაწილის.

31 მაისს, პოლიციელის დღე აღინიშნა

31 მაისს, შსს-მ პოლიციელის დღე აღნიშნა. საზეიმო ღონისძიებას, რომელიც თბილისში, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინ გაიმართა, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის წევრები, დეპუტატები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და შსს-ს თანამშრომლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის საზეიმო მსვლელობის შემდეგ, მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და მათ სიტყვით მიმართა.

„ცოტა ხნის წინ, ჩვენ, ყველამ აღვნიშნეთ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღე. დღეს, 26 მაისიდან რამდენიმე დღეში, ქართული პოლიციისა და პოლიციელთა პროფესიულ დღეს აღვნიშნავთ. დღევანდელი დღე არის სიმბოლური ხაზგასმა, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა, სწორედ იდგა და დგას თითოეული თქვენგანის თავგანწირულ შრომაზე.

საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უსაფრთხოების დაცვა – პოლიციელის პროფესიული ვალია, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როდესაც პოლიციელის პროფესიული მოვალეობის შესრულებას ჩვენი კოლეგების სიცოცხლე ეწირება. ყველამ ერთად პატივი მივაგოთ საქართველოს ერთიანობისთვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ქართველი პოლიციელების ხსოვნას.

მთელი ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია არის ბრძოლა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისთვის. უახლეს ისტორიაში, ამ ბრძოლის წინა ხაზზე კი ყოველთვის დგას ჩვენი პოლიცია.

დღეს, აქ, საქართველოს პოლიცია წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე ასეული პოლიციელით, თქვენ უკან ათასობით თქვენი კოლეგა დგას. ისინი ამ წუთებშიც განაგრძობენ ჩვენი მოქალაქეების დაცვას, ებრძვიან დანაშაულს, აკონტროლებენ საზღვრებს, ებრძვიან ხანძრებს და ზრუნავენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე.

პოლიციელებო, მინდა, საქართველოს ერთგული სამსახურისთვის, ყველას დიდი მადლობა გითხრათ. ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პატივია, რომ კიდევ ერთხელ, თქვენთან ერთად, აღვნიშნავ პოლიციელის დღეს.

თითოეულ აქ მყოფ პოლიციელსა და ჩვენი ქვეყნის ყველა პოლიციელს მადლობა, ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვისთვის! მადლობას გიხდით ღირსეული, მაღალპროფესიული და თავდაუზოგავი შრომისთვის!

ვისაც ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაგვიცვამს პოლიციელის ფორმა, გვიტარებია პოლიციელის მუნდირი, კარგად ვიცით, რას ნიშნავს პოლიციელის პროფესია. ვიცით, რა სირთულეები ახლავს თან დანაშაულთან ბრძოლას, ვიცით, რა საამაყოა, ემსახურო მოქალაქეებს და ვიცით ფასი ადამიანის სხვადასხვა, ფუნდამენტური უფლების დაცვის. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, მოსახლეობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, კრიმინალთან ბრძოლა არის თითოეული ჩვენგანის ყველაზე საპასუხისმგებლო საზოგადოებრივი როლი.

დღეს, ჩვენ გვყავს სამართლიანობასა და ადამიანის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიცია. პოლიციისთვის, ბოლო წლებში, ისე, როგორც არასდროს, უმნიშვნელოვანესია ადამიანის სიცოცხლე და მისი ხელშეუხებლობა. ეს არის თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მონაპოვარი და ეს მონაპოვარი ეკუთვნის საზოგადოების თითოეულ წევრს. თუმცა, დღეს, ჩვენ, დემოკრატიული, ევროპული სახელმწიფოს ფუნდამენტზე აგებული ქვეყნის პოლიცია, ასევე, მთლიანად ჩვენი საზოგადოება ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე ვართ. მთავარი გამოწვევა ერთმანეთის პატივისცემა, სოლიდარობა, შრომის დაფასება, სამართლიანი კრიტიკა და ამ პრინციპების დაცვით ქვეყნის ერთიანობის, სტაბილური განვითარებისა და ღირსეული მომავლის უზრუნველყოფაა.

ჩვენი პროფესიული სირთულეების გამო, ხშირად, მათთვის არ გვყოფნის დრო, ვინც ყველაზე მეტად გვიყვარს – ჩვენი ოჯახებისა და შვილებისთვის. მადლობა თითოეულ მათგანს, პროფესიულ გზაზე პოლიციელთა მხარდაჭერისთვის, გულშემატკივრობისა და თმენის სიმტკიცისთვის. პოლიციელის პროფესიისა და ფიცის ერთგულება, სამშობლოსა და თანამოქალაქეებისთვის სიცოცხლის გაწირვა, საკუთარ ინტერესებზე უარის თქმა – ეს არის ჩვენი არჩევანი. ჩვენს უკან, ოჯახებში მომლოდინე ადამიანებს კი გისურვებთ, ყოველთვის გეამაყოთ თქვენი ოჯახის წევრი პოლიციელებით და ყოველი სამუშაო დღის შემდეგ, უვნებლად, მშვიდობით დაგბრუნებოდეთ საყვარელი ადამიანები.

რა თქმა უნდა, თავის მხრივ, თითოეულ ხელმძღვანელ პირს, სახელმწიფოს მეთაურებს, კარგად ესმით, რა მნიშვნელობა აქვს პოლიციელთათვის ღირსეული სამუშაო პირობების უზრუნველყოფას.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მთავრობასთან ერთად, აქტიურად ვმუშაობთ საპოლიციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოლიციელებისთვის ევროპული სტანდარტის სამუშაო პირობების შექმნაზე. ასევე, აქტიურ მუშაობას განვაგრძობთ სამინისტროს თითოეული თანამშრომლისთვის ღირსეული სოციალური გარანტიების უზრუნველყოფაზე.

ჩვენ გააზრებული გვაქვს და ძალიან კარგად გვესმის, რომ ევროპული სტანდარტიზაცია არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ევროპული პრინციპების დაცვა და განვითარების ძალა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობაა. ქართულმა პოლიციამ და შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმებმა, წარმატებულმა პროექტებმა, ევროკავშირთან ინტეგრაციისა და უვიზო მიმოსვლის განხორციელების მიმართულებით, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.

დასასრული მე-11 გვერდზე

31 მაისს, პოლიციელის დღე აღინიშნა

მე-10 გვერდიდან

შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმატებით განაგრძობს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ღონისძიებას ესწრებიან და სხვადასხვა ქვეყნიდან თვალს ადევნებენ ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები. თქვენ, წლების განმავლობაში, ხელს უწყობთ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებას. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქართული პოლიციის სახელით, მადლობას გიხდით ჩვენი მხარდაჭერისთვის, აღმოჩენილი უმნიშვნელოვანესი დახმარებისა და ღირსეული პარტნიორობისთვის. ჩვენო პოლიციელებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ პოლიციელის დღეს და როგორც დემოკრატიული, დასავლური ღირებულებების ერთგული სახელმწიფო ინსტიტუტის წარმომადგენლებს, გისურვებთ, ღირსეულად შეგესრულებინოთ ჩვენი პროფესიული ფიცი – იყავით ერთგულები და ღირსეულები, დაიცავით საქართველოს კონსტიტუცია და კანონები.

ერთად დავიცვათ ჩვენი სამშობლო – საქართველო და ვემსახუროთ საზოგადოებას. ღმერთი ფარავდეს საქართველოს და ქართულ პოლიციას!" – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგ, პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჩემო ძვირფასო პოლიციელებო, ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ვამაყობთ ქართული პოლიციით. გვეიმედება შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული თითოეული ადამიანი. კიდევ ერთხელ, მადლობა სამსახურისთვის! ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ ჩვენ შევძელით პოლიციის ტრანსფორმაცია. ქართული პოლიცია აღარ არის პოლიტიზებული, პოლიცია თანაბრად იცავს ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. აბსოლუტურად მიუღებელია პოლიციისადმი დაუმსახურებელი, შეურაცხმყოფელი გამოთქმები, რასაც სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტები ხშირად იმეორებენ. რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს შეგუებული და არავითარი კომპრომისი ჩვენ არ უნდა დავუშვათ. ასეთი არცერთი ფაქტი არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე. პოლიციელი უნდა იყოს ხელშეუხებელი. რა თქმა უნდა, არ მაქვს საუბარი ცალკეულ გადაცდომებზე, რომელზეც სამინისტრო შესაბამისად რეაგირებს, მაგრამ მიუღებელია და კატეგორიულად ვგმობ ნებისმიერ მცდელობას, რომ შეურაცხყოფა მიაყენონ თქვენს საამაყო საქმიანობას, თქვენს პროფესიას, ამიტომ თითოეული ასეთი ქმედება იქნება დასჯილი და ჩვენ არცერთ კომპრომისს არ დავუშვებთ.

ჩემი დიდი სურვილია, ახალგაზრდები, პროფესიის არჩევისას, სიხარულით ეწერებოდნენ პოლიციელთა რიგებში. მე მინდა, მოქმედმა და მომავალმა პოლიციელებმაც იცოდნენ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე და ყოველთვის ეცდება, პოლიციელი ჰყავდეს დაფასებული. ძვირფასო მეგობრებო, როდესაც ამ რთულ პროფესიას ეჭიდება ადამიანი, მას უნდა ჰქონდეს მოტივაცია, ის უნდა გრძნობდეს სახელმწიფოს მხარდაჭერას. ჩემი დიდი სურვილი იყო და ბატონ ვახტანგ გომელაურთან ერთად, ცოტა ხნის წინ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩვენი გმირი პოლიციელებისთვის ავაშენოთ პოლიციის ათასბინიანი ქალაქი თბილისში. ეს იქნება პირველი ეტაპი და რა თქმა უნდა, გაგრძელდება. პროექტი წელსვე დაიწყება და ჩვენ კიდევ შევძლებთ ბევრი პოლიციელის ოჯახი გავახაროთ. ჩვენი ვალია, სათანადოდ დავაფასოთ ყველა ის ადამიანი, ვინც ჩვენი ხალხისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის იბრძვის და თავს სწირავს, თავის ყველაზე ძვირფასს – სიცოცხლეს აგდებს საფრთხეში. ქვეყანაში, რომელიც ვითარდება, რომელშიც შენდება ახალ-ახალი საცხოვრებელი უბნები, სადაც ყოველწლიურად იზრდება უცხოელ ტურისტთა ნაკადი, ჩნდება ახალი საპოლიციო შენობების აშენების საჭიროებაც. ჩვენ უკვე განვაცხადეთ და კიდევ გავიმეორებ, რომ საპოლიციო ინფრასტრუქტურა საქართველოს ყველა დიდ ქალაქსა, თუ რაიონში უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტებით აშენებული, აღჭურვილი და მოწყობილი. ახალი საპოლიციო ინფრასტრუქტურის აშენებისთვის ბიუჯეტი, დაახლოებით, 300 მილიონ ლარს შეადგენს. აქვე განვმარტავ, რომ სამშენებლო პროცესი არ შეეხება მხოლოდ პოლიციის დანაყოფებს, ეს მშენებლობები იგეგმება შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის ყველა დანაყოფში, მთელი ქვეყნის მასშტაბით. გვაქვს გეგმაში, რომ ეს პროცესი სამ წელიწადში დასრულდეს.

ჩემო ძვირფასო პოლიციელებო, მეგობრებო, ჩვენი ხალხის, მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას სამშობლოს ერთგული, თავდადებული მსახურებისთვის, თქვენი პროფესიონალიზმისა და გმირობისთვის! მადლობას ვუხდი თქვენს მშობლებს, მეუღლეებს, შვილებს, ოჯახის წევრებს, ვისი თანადგომითაც თქვენთვის ასე ძვირფასია თქვენი საქმიანობა. გილოცავთ პოლიციელის დღეს", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმაც.

ღონისძიებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნას.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა წარმატებული პოლიციელები სამინისტროს სხვადასხვა სახის მედლებით დააჯილდოვა.

პოლიციელთა დაჯილდოების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურსანტებმა პოლიციელის ფიცი დადეს.

ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დასასრულს, მომღერალმა ოთო ნემსაძემ და ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა" შეასრულეს სპეციალურად, „პოლიციელის დღე 2022"-ისთვის დაწერილი სიმღერა – „ვემსახურები საქართველოს!"

ბათო ჯაფარიძე

გამომძიებლის პროფესია ძალიან რთულია, რადგან ის ერთია და უნდა მოერგოს სხვადასხვა დამნაშავის ფსიქიკას, უნდა იგრძნოს და გაიაზროს, რას და როგორ გააკეთებდა ან მომავალში გააკეთებს კრიმინალი და უნდა ეძებოს, გათვალოს, ინტიუცია გაამახვილოს. უფრო რთულადაა საქმე, როცა სამართალდამცავს კოლეგის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა. ჰო, ძალოვან სტრუქტურებშიც არიან ადამიანები, რომლებიც კრიმინალს ჩადიან და ამ დროს დარწმუნებულნი არიან, ვერ დაიჭერენ. რატომ? – იმიტომ, რომ მათ ზედმიწევნით იციან კოლეგების ყველა შესაძლო მოქმედება, ადვილად აკეთებენ გათვლას და ხელიდან გასხლტომაც ხშირად პრობლემა არ არის.

აფერა საბჭოთა მილიციის სახელით

„სანამ ცოლს მოვიყვანდი, ოროთახიან ბინაში მარტო ვცხოვრობდი. ბინა მამიდის იყო, რომელიც ადრე დაქვრივდა, შემდეგ კი სოფელში წავიდა და დროებით მე მათხოვა. ჩემი მამიდაშვილი, რომელიც ნახევრად უკრაინელი იყო, სასწავლებლად კიევში გაემგზავრა და როცა შინ დაბრუნდებოდა, თავისთავად, ბინა უნდა დამეცალა. კი მქონდა ერთოთახიანი, რიგშიც ვიდექი, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ სანამ ცოლს არ მოვიყვანდი, დიდი და ახალი ბინა არ მეღირსებოდა. ამიტომ, ამ მხრივაც ვფიქრობდი, მაგრამ მხოლოდ ვფიქრობდი, რადგან საქმე თავზე საყრელად მქონდა. ამიტომ, დამხმარე ქალი მყავდა აყვანილი, იქვე, მეზობელი ბებო, რომელიც ალაგებდა და სადილს მიმზადებდა. ჰოდა, ასეთ დღეში ვიყავი, როცა მოულოდნელად, მამიდაშვილი დამადგა და თან ახალგაზრდა კაცი მოიყვანა, ჩემი საქმროაო. მამიდაჩემს დავურეკე, ვიცი, ვიღაც უკრაინელი ბიჭია, ცოლად მიჰყვება, რა ვქნა, მე არ დამიჯერა, ქართველზე არ იფიქრაო“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გარდა იმისა, რომ საქმრო იყო, მამიდაშვილმა ბატონ თენგიზს საქმრო, როგორც კოლეგა, ისე გააცნო. განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ვარო, დააყოლა ახალგაზრდა კაცმა მხიარულად და იმ დღეს, მომავალი სიძე ქართველმა ცოლისძმამ გვარიანად დაათრო. მეორე დღისთვის, წყვილი მაღაზიებსა და ზოგადად, ქალაქში სასეირნოდ წავიდა, ქართველი გამომძიებელი – სამსახურში, მეზობელი ბებო კი სახლის დასალაგებლად შევიდა და თითქოს ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, თუმცა იმავე საღამოს, ბატონმა თენგიზმა მომავალი სიძე ქუჩაში, სრულიად შემთხვევით, საკმაოდ გამოცდილ თაღლითთან ერთად დალანდა. თაღლითი ვალუტასა და ძვირფას ქვებზე მუშაობდა და ძალოვნების ყურადღების ცენტრში მუდმივად იყო. აი, რა უნდოდა უკრაინის შს სამინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა მთავარ გამომძიებელს მასთან?

„რა თქმა უნდა, არ ვაპირებდი სასიძოსთვის რამე მეკითხა, მაგრამ რეალურად, ძალიან ბევრი კითხვა მქონდა და ამიტომ, უკრაინში იმ მეგობარს დავურეკე, რომელთანაც რამდენიმეწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა და რაც მთავარია, პროკურატურაში მუშაობდა. მან მეორე დღესვე დამიდასტურა, რომ ასეთი სახელითა და გვარით, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი ნამდვილად მუშაობდა და დავმშვიდდი“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთი შეხედვით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ ორ დღეში, ქართველ გამომძიებელს მორიგი სიურპრიზი ელოდა. შინ დაბრუნებულს, კართან მეზობელი ბებო დამნაშავესავით აეტუზა და ენის ბორძიკით უთხრა, შენ კარგი ტელევიზორი გაქვს, ჩავრთე, რაღაც აურია და როგორც ჩემს ტელევიზორს, ისე დავარტყი ზემოდან ხელი და ეს ორი ცალი ქვა გადმოვარდა, ალბათ, ნათურა გავტეხეო და გამომძიებელს ხელში შუშის ორი ნატეხი ჩაუდო. თენგიზმა ნატეხებს დახედა და ელდა ეცა – მას ხელში, დიდი ალბათობით, დაუმუშავებელი ალმასი ეკავა. ბებოს მადლობა გადაუხადა, სახლში შევარდა და ტელევიზორი დაშალა. იქ კი, პატარა, ნაჭრის ტომარაში, კიდევ 20-ზე მეტი „შუშის ნატეხი“ ნახა. ადვილი მისახვედრი იყო, ეს სასიძოს ეკუთვნოდა, თუმცა სანამ მას დაელაპარაკებოდა, გადაწყვიტა, მამიდაშვილს გასაუბრებოდა ანუ ნათესავისთვის ეკითხა, სად გაიცნო, როგორ გაიცნო, ფორმით ჰყავდა თუ არა ნანახი და ზოგადად, საქართველოში სასეირნოდ იყვნენ, თუ საქმეზე. მამიდაშვილმა ღიმილით უთხრა, ყველაფერზე ნუ ეჭვიანობ, შენზე მაღალი ჩინიც აქვს და შენზე დიდი გავლენაც უკრაინაშიო. დრო დადგა, კითხვები სასიძოსთვის დაესვა. ქართველმა ძალოვანმა უკრაინელ კოლეგას წინ ტომარა დაუდო და ერთადერთი კითხვა დაუსვა – ეს რა არის?

„არ მინდოდა თქმა. საგანგებო მისიით ვარ ჩამოსული საქართველოში. ჩვენთან, უკრაინაში, დაუმუშავებელი ალმასები მომრავლდა და ისინი საქართველოში, შავი ზღვით შემოაქვთ, შემდეგ კი თბილისში ჰყიდიან. სწორედ, ამ ქსელის გამოსავლენად ვარ აქ და სწორედ ამიტომ, ვხვდები ისეთ ადამიანებს, რომელთა გვერდით რომ დამინახო, შესაძლოა, გაგიკვირდეს“, – მარტივად ახსნა უკრაინელმა.

ბატონი თენგიზი ჩაფიქრდა, შემდეგ კი გადაჭრით თქვა – გავიგე, მაგრამ ეს ალმასები ჩემი სამსახურის სეიფში გადაინაცვლებს. როცა დაგჭირდება, მოგცემ და რაც მთავარია, გამოგყვები, ოპერაციას მარტო ხომ არ დაასრულებ?! უკრაინელს ეს დიდად არ ეპიტნავა, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია.

სამი დღის შემდეგ, ქართველმა გამომძიებელმა სასიძო ქალთან ერთად დაინახა. ქალს კარგად იცნობდა, ადგილობრივი მეძავი იყო და კრიმინალებთან კავშირი ჰქონდა. ის ფრთხილად გაჰყვა წყვილს, ქალმა მამაკაცი თავის სახლში წაიყვანა და ორი საათის განმავლობაში, იქ იმყოფებოდა. შინ დაბრუნებულმა გამომძიებელმა სასიძოს კატეგორიულად მოსთხოვა – „ან დამაკავშირებ საქმის ხელმძღვანელთან, ვინც ყველაფერ ამას კურირებს, ან განყოფილებაში მიმყავხარ და ჩემს უფროსობას ვაყენებ საქმის კურსში“.

უკრაინელმა ძალოვანმა მშვიდად ამოიღო ჯიბიდან ტელეფონის ნომერი და უთხრა – „დარეკე, ეს კაცი ჩვენი პოლკოვნიკია, ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელი, ოღონდ პაროლი უთხარი, სიტყვა, რომელსაც გეტყვი, ისე არაფერს დაგიდასტურებს“. თენგიზმაც დარეკა, პაროლი უთხრა და პოლკოვნიკისგან დასტურიც მიიღო, შეეცადე, არ გაიშიფროს და ყველანაირად დაეხმარეო. შემდეგ უკვე, ქართველმა მაძებარმა თავის მეგობართან გადაამოწმა და მისგან დასტური მიიღო, რომ ასეთი პოლკოვნიკი მართლაც არსებობდა და უზადო ავტორიტეტით სარგებლობდა. ბატონი თენგიზი საბოლოოდ დამშვიდდა. ამის შემდეგ, უკრაინელ სტუმარს სრული თავისუფლება მიეცა და რაც მთავარია, მამიდაშვილმაც უთხრა, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ თქმის უფლება არ მქონდა, საიდუმლო ოპერაციაა.

რამდენიმე დღეში, სასიძომ ალმასები მოითხოვა, კონკრეტულ პირს უნდა მივყიდო, მერე კი იმას უკან შენები გააყოლე და გაარკვიონ, სად წავლენ ანუ მთავარი ის არის, ვის გადასცემენ ამ ალმასებს და რა სქემით გააქვთ საზღვარგარეთო. ქართველი სამართალდამცავები საქმეში ჩაერთვნენ, მაგრამ ყველაფერი სხვა სცენარით წარიმართა. ალმასების გადაცემის დროს, მყიდველებმა უკრაინელის გადაგდება მოისურვეს და მას მუცელში დანა დაარტყეს, თავად კი ალმასებთან ერთად გაქცევა დააპირეს. ქართველმა სამართალდამცავებმა დაჭრილი საავადმყოფოში გააქანეს, მყიდველები კი იქვე დააკავეს. ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ დაიწყო. დაკითხვას ბატონი თენგიზიც ესწრებოდა და როცა დაკავებულებს უკრაინელი ოპერმუშაკი უხსენა, მათ სიცილი დაიწყეს, რა ოპერმუშაკი, უკრაინელი აფერისტია, კარგა ხანია, იქიდან ალმასებს აგზავნის, ახლა კი დიდი პარტია თავად ჩამოიტანაო. გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს და განყოფილებაში ზარიც გაისმა, საავადმყოფოდან რეკავდნენ, თქვენი დაჭრილი, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, წავიდა და დააბრუნეთ, ყველაზე ცოტა, ერთი კვირა უნდა იწვეს, სერიოზული ჭრილობაა, დრენაჟი უდგას და მარტო ვერ მიხედავსო. ქართველები ტელეფონს ეცნენ და უკრაინაში დარეკეს. როგორც გაირკვა, ასეთი სახელისა და გვარის ოპერი მართლაც არსებობდა, თუმცა ის უკრაინაში იმყოფებოდა, ხოლო პოლკოვნიკმა რეალურად არაფერი იცოდა. გამოდიოდა, რომ უკრაინელმა გამოიყენა სხვისი სახელი და გვარი, დაზღვევის მიზნით, იქაურ მეგობარს უთხრა, თუ დაგირეკეს და კონკრეტული პაროლი გითხრეს, თავი პოლკოვნიკად გაასაღეო. ის კრიმინალი კი, რომელიც ქართველმა დაკავებულებმა დაასახელეს, მეორე წელი ხდებოდა, ძებნაში იყო. სად უნდა ეძებათ აფერისტი, არავინ იცოდა, თუმცა...

„მას აქ, ერთადერთ ადგილზე შეეძლო წასვლა – მეძავთან, რომელთანაც ვნახე. ამიტომ, მისი სახლისკენ წავედი და წავედი მარტო, რადგან დაჭრილის დაკავება არ გამიჭირდებოდა. ინტუიციამ არ მომატყუა, მეძავი ბინიდან გამოვიდა, ახლომდებარე აფთიაქში შეირბინა და დიდი ოდენობით ბინტი და იოდი იყიდა. როცა კიბეებზე ადიოდა, უკან მივყევი, კარი გააღო და იარაღმომარჯვებული შევვარდი. ჩემი სასიძო ლოგინზე იწვა და კვნესოდა. ჩემი დანახვის შემდეგ, გაიღიმა და ტაში დაუკრა, ყოჩაღ, არ მეგონა, თუ ასე მალე მიპოვიდიო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, ისიც დააკავეს, საავადმოფოში გადაიყვანეს და დაცვა მიუჩინეს. ეს აფერა, სწორედ მისი დაგეგმილი იყო, ქართველი გამომძიებლის მამიდაშვილიც სპეციალურად გაიცნო, ოღონდ თავიდან არ იცოდა, რომ საქართველოში გამომძიებლის ბინაში უნდა ეცხოვრა, შემდეგ კი დროში იწვებოდა და ახალი ქართველის პოვნა აღარ გამოდიოდა. ლეგენდა მოიფიქრა, ისტორია შეთხზა და პირველ ეტაპზე, ყველა გააბითურა, თუმცა შემდეგ აღარ გამოუვიდა.

ადგილობრივი კრიმინალები საქართველოში გაასამართლეს, უკრაინელი კი კიევში გადააფრინეს და მისი ალმასებიც იქ, საქმეზე დასართავად, მტკიცებულების სახით წაიღეს.

„ჯვაროსნები“ სრული სვლით – 2 მატჩი და 9 გოლი!

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ერთა ლიგის გათამაშებაში ჩაერთო. ჩვენმა გუნდმა ორი შეხვედრა გამართა, მესამე მატჩი 9 ივნისს, ჩრდილოეთ მაკედონიასთან, სკოპიეში ელის, შემდეგ კი საკუთარ მოედანზე ბულგარეთს ვმასპინძლობთ. ერთა ლიგის დაწყებამდე, ნაკრების თავკაცმა, ვილი სანიოლმა პრესკონფერენციაზე თქვა, ჩემი გეგმა ოთხივე შეხვედრის მოგებაა, რაზეც ბევრს გაეღიმა, თუმცა ისე ჩანს, ფრანგი სპეციალისტი სულაც არ ხუმრობდა.

ის, რომ ჩვენი გუნდი პირველ შეხვედრაში გიბრალტარს იოლად მოუგებდა, ცხადი იყო. ბოლოს და ბოლოს, გიბრალტარის მოსახლეობაზე ორჯერ მეტი ტევადობის „დინამო არენაა“, ესეც არ იყოს, მათი საუკეთესო ფეხბურთელი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პოლიციელია და ფეხბურთი ისე, გასართობად აქვს. მოკლედ, გიბრალტართან 4:0 ისე მოვიგეთ, ბიჭებს ოფლი არ გამოსვლიათ და ცხადი იყო, მთელი ყურადღება ბულგარეთთან გასამართ შეხვედრაზე იყო გადატანილი. თანაც, ბულგარელებმა პირველ მატჩში შინ, მაკედონიას ვერ მოუგეს, რის გამოც ადგილობრივმა მედიამ მწვრთნელ-ფეხბურთელები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და საქართველოსთან აუცილებლად მოგება მოსთხოვა. თანაც, 1995 წლის შემდეგ, ბულგარეთისთვის არასდროს მოგვიგია. ეგ კი არა და, ძირითადად, დიდი ანგარიშით ვაგებდით ხოლმე და ამიტომ, ბულგარელები დიდ გულზე დაგვხვდნენ.

ჩვენმა ნაკრებმა ბულგარეთში იფრინა, გამოუვიდა ყველაფერი, რაც მოისურვა, ხუთი გოლი გაიტანა, პენალტი გააცუდა და საბოლოოდ, 5:2 მოიგო. ეს საქართველოს ნაკრების მიერ ნაჩვენები ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა გახლდათ, სადაც ყველა ფეხბურთელმა იცოდა, კონკრეტულ მომენტში, რა და როგორ უნდა ეკეთებინა. სხვათა შორის, სანიოლმა ისიც თქვა, გუნდში მთავარი დისციპლინაა, რასაც აუცილებლად უმაღლეს დონეზე დავაყენებო და სავარაუდოდ, სასურველ შედეგს აღწევს კიდეც. ფრანგმა სპეციალისტმა კარიერის საუკეთესო წლები მიუნხენის „ბაიერნში“ გაატარა და როგორც ჩანს, გერმანული დისციპლინა სისხლში აქვს გამჯდარი.

„ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ბევრი ვეცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, ყველაფერი ჩემი ბრალია და ამიტომ მივდივარ. მინდა, წარმატება ვუსურვო მას, ვინც ნაკრებს ჩაიბარებს“, – ეს განცხადება საქართველოსთან მატჩის შემდეგ, ბულგარეთის ნაკრების თავკაცმა, იასენ პეტროვმა გააკეთა, რაც იმას ნიშნავს, რომ 12 ივნისს, თბილისში, ბულგარელებს სხვა სპეციალისტი ჩამოუძღვება.

ტალახაძე კონტინენტის ჩემპიონი ზედიზედ მეექვსედ გახდა

ალბანეთის ქალაქ ტირანაში, ძალოსანთა შორის ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. მთავარი ინტრიგა კვლავ ის იყო, გააუმჯობესებდა თუ არა საკთარ რეკორდს ლაშა ტალახაძე, თუმცა... მოდით, ჯერ ნაკრების სხვა წევრებზე ვთქვათ.

ტალახაძე ფიცარნაგზე ტურნირის ბოლო დღეს გავიდა. მანამდე კი, ჩვენი ნაკრების ყულაბას შოთა მშველიძემ (-67კგ.), კახი ასანიძემ (-74კგ.) და გიორგი ჩხეიძემ (-109კგ.) ვერცხლის მედლები შემატეს, რეზი დავითაძე (-89კგ.) და ანასტასია გოტფრიდი (-87კგ.) კი ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

რაც შეეხება ტალახაძეს, როგორც აკვრაში, ისე ატაცში, ოქროს მედალი პირველივე ცდაზე გაინაღდა და ჩევენი დელეგაციაც მშვიდად იყო, თუმცა აკვრაში ლაშას მეორე ცდა გაუცუდდა და მესამე საერთოდ აღარ გამოუყენებია. საბოლოოდ, მან ორჭიდის ჯამში, 462 კილოგრამი დააგროვა, რაც ოქროს მედლისთვის მარტივად ეყო, მაგრამ ეს წონა მის პირად რეკორდს მთელი 30 კილოგრამით ჩამორჩება. მერე ითქვა, რომ ლაშა კონტინენტის პირველობაზე ტრავმით გაემგზავრა და მეორე ცდა ამიტომაც გაუცუდდა, მესამეზე კი იმიტომ არ მივვიდა, რომ ტრავმა არ გამიზეზებოდა. რა თქმა უნდა, ნაკრების მწვრთნელებმა და ექიმებმა ჩვენზე კარგად იციან, რა და როგორ აჯობებს, მაგრამ სავარაუდოდ, ცოტა ხნით, ლაშას მთელმა ერმა და ბერმა არ უნდა უკიჟინოს, გინდა თუ არა, ოქროს მედალი რეკორდით მოიგეო. ყველა აღიარებს, რომ ეს ბიჭი ფენომენია, რომ ძალოსნობის სამყაროს ასეთი სპორტსმენი არასდროს ჰყოლია და იქნებ, ამ კაცს რეკორდების დამყარების ვალდებულება და წნეხი მაინც მოვხსნათ. აგერ, ტრავმიანმა კაცმა, მეორე ადგილზე გასულს, მთელი 11 კილოთი აჯობა და ძალოსნობაში 11 კი არა, 1 კილოგრამი რამდენს ნიშნავს, კარგად მოგეხსენებათ.

„ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ორი-სამი კვირა მქონდა, რადგან ჩემს სპორტულ კარიერაში პირველად, სერიოზული ტრავმა მივიღე. ერთი თვის წინ, ფეხის კუნთის ნაწილობრივი გაგლეჯა დამიდგინდა და ექიმების დამსახურებაა, მაინც რომ ვიასპარეზე. მთავარი გამარჯვება იყო და არა რეკორდები, თანაც კონკურენტებმა იცოდნენ, რომ ტრავმა მქონდა და შეეცადნენ ეჯობნათ, თუმცა, საბედნიეროდ, მე გავიმარჯვე. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია, რომლისთვისაც საგულდაგულოდ მოვემზადები“, – ეს განცხადება ტალახაძემ მოგვიანებით გააკეთა.

არ ვარ მე ის კაცი!

„ბარსელონაში“ დიდი არეულობაა. ცნობილმა მომღერალმა შაკირამ თავისი მეუღლე, ხერარდ პიკე ღალატში გამოიჭირა და ცალკე საცხოვრებლადაც გაუშვა. არადა, წყვილი ერთ-ერთ სანიმუშო და მყარ ოჯახად ითვლებოდა, თუმცა... ყველაზე ცუდი ის არის, რომ პირველადი ვერსიით, შაკირას პიკემ, თანაგუნდელის, 18 წლის გავის დედასთან უღალატა. ინფორმაციამ გავი გადარია და ვარჯიშზე მან პიკეზე გაინია კიდეც, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ დედამისი არაფერ შუაშია და ქალი, რომელიც პიკემ შაკირაში გაცვალა, თანაგუნდელის დედას უბრალოდ ჰგავს. რა თქმა უნდა, ეს კოლუმბიელი მომღერლისთვის დიდი შეღავათი ნამდვილად არ არის და მისი ადვოკატები განქორწინების პროცესს იწყებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ გასაყოფი, დაახლოებით, 250 მილიონი დოლარის ქონება იქნება.

თბილისის გრანდ-სლემი ქართველთა ტრიუმფით დასრულდა

ძიუდოისტთა შორის, თბილისის გრანდ-სლემი ქართველთა სრული დომინაციით დასრულდა. ჩვენმა ნაკრებმა საერთო ჯამში 14 მედალი მოიპოვა, საიდანაც 5 ოქროსი იყო და ამ შედეგით, ლაშა გუჯეჯიანის შეგირდებს გუნდურ ჩათვლაშიც პირველი ადგილი ერგოთ. ჩემპიონები თემურ ნოზაძე, ლაშა შავდათუაშვილი, ბექა ღვინიაშვილი, გელა ზაალიშვილი და ონისე სანებლიძე გახდნენ. დასანანი იყო ტატო გრიგალაშვილის მარცხი ფინალში და აღსანიშნავი – სოფიო სომხიშვილის მიერ მოპოვებული ბრინჯაო. ეს მისთვის გრანდ-სლემებზე მოპოვებული პირველი მედალია.

და ერთიც, როგორც გითხარით, ბექა ღვინიაშვილი ჩემპიონი გახდა და მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა, თუმცა ის ნაკრებს, პრაქტიკულად, ბოლო დღეს შეუერთდა, რადგან ამ წონაში ლუკა მაისურაძეს უნდა ეჭიდავა, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ბექაც საქმეში ამიტომ ჩაერთო. ჰოდა, თუ ასეთ ფორმაში იყო ღვინიაშვილი, თავიდანვე რატომ არ იყო შემადგენლობაში?!

ნადალმა „როლან გაროსის“ ფინალი ისევ მოიგო

23 წლის კასპერ რუუდი პირველი ნორვეგიელი ჩოგბურთელია, რომელიც დიდი მუზარადის ტურნირის ფინალში გავიდა. მან ეს საფრანგეთში, „როლან გაროსის“ ტურნირზე მოახერხა და გადამწყვეტ მატჩში, თიხნარის მეფედ წოდებული, რაფაელ ნადალი ერგო. საინტერესოა, რომ რუუდი სწორედ იმ აკადემიაში ვარჯიშობს, რომელიც ნადალმა დააარსა და მას ეკუთვნის ანუ რაფა თავისივე აკადემიის აღზრდილს ეთამაშებოდა. სანამ ამ მატჩზე გეტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ ნადალი „როლან გაროსის“ ფინალში მეთოთხმეტედ გავიდა და წინა 13 ფინალიდან, ყველა მოგებული ჰქონდა. წარმატებული სერია ახლაც გაგრძელდა და ესპანელმა კარიერაში დიდი მუზარადის 22-ე ტიტული მოიგო, რაც აბსოლუტური რეკორდია. მასზე ერთით ნაკლები ნოვაკ ჯოკოვიჩს აქვს მოგებული, ხოლო ორით ნაკლები – როჯერ ფედერერს.

„ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ. 36 წლის ასაკში, ასეთი მიღწევა თითქოს დაუჯერებელია, მით უმეტეს, როცა მეტოქედ ახალგაზრდა გყავს, მაგრამ ეს ჩემი დღე იყო. რუუდი კი ბევრ ტიტულს აუცილებლად მოიგებს“, – განაცხადა ნადალმა.

აქვე გეტყვით, რომ მხოლოდ ტურნირებზე გამარჯვებით, ნადალს კარიერაში 130 მილიონ დოლარზე მეტი აქვს მოგებული და ორი ამდენი – სარეკლამო შემოსავლებით მიღებული. ვინც არ იცის, შევახსენებთ, რომ ნადალის ბიძა, სერხი ნადალი, „ბარსელონას“ ფეხბურთელი იყო და ოჯახს გადაწყვეტილი ჰქონდა, რაფაც ფეხბურთზე შესულიყო, მაგრამ ბავშვმა თქვა, რომ თუ ის ფეხბურთს ითამაშებდა, მხოლოდ „რეალში“, რადგან მადრიდულ კლუბს გულშემატკივრობდა. ჰოდა, ოჯახში გადაწყდა, ნადალს მათთვის „შეურაცხმყოფელი“ ნაბიჯი რომ არ გადაედგა, აჯობებდა, ფეხბურთი საერთოდ არ ეთამაშა და ის... ჩოგბურთზე მიიყვანეს.

დიდი გარიგება – მაურინიო პსჟ-ში

იტალიურმა „რომამ“, არსებობის ისტორიაში, ევროტურნირი წელს პირველად მოიგო. ეს კი ჟოზე მაურინიოს ხელში მოახერხა – კონფერენს-ლიგის გამარჯვებული გახდა. ახლა პორტუგალიელი სპეციალისტი იტალიის დედაქალაქში მთავარი კაცია, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ის გუნდიდან წავიდეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჟოზეს ფრანგული პსჟ ეპატიჟება. კლუბის არაბი შეიხები მილიარდებს ხარჯავენ იმისთვის, რომ როგორმე ფრანგულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგოს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. ამჟამად პარიზელებს მაურისიო პოჩეტინო წვრთნის, თუმცა მასთან კონტრაქტის გაწყვეტა დღეების ამბავია. შეიხებს გუნდის თავკაცად ზინედინ ზიდანი სურდათ, თუმცა ფრანგმა შეთავაზება უარყო და ახლა მზერა მაურინიოს მიაპყრეს.

„ჯერ შვებულება მაქვს და ვისვენებ, საქმეებზე მერე ვისაუბროთ“, – ასეთი მოკლე კომენტარით შემოიფარგლა მაურინიო, მაგრამ ევროპული მედია წერს, პორტუგალიელის აგენტი არ ისვენებს და არაბ შეიხებს ყოველდღე ხვდებაო.

გელა ქოქიაშვილი

ჯოისუბნის სამხრეთ კედლის ბარელიეფი

ჯოისუბნის ტაძრის ნანგრევები

ქვათა მატიანე

დავეძებთ, სად არ დავეძებთ

ზემო რაჭა

ბუნებრივია, ერთკვირიან მოგზაურობაში რაჭის ყველა ძეგლს ვერ გადავიღებდით. ამიტომ უმეტესი ყურადღება რეგიონის უმთავრეს, ისტორიული და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით გამორჩეულ, ტაძრებზე შევაჩერეთ. მაგრამ ჩვენი ძველი სწავლული კაცების მიერ გამორჩეული და აღწერილი ძეგლების ერთი ნაწილი მიწასთან გასწორებული დაგვხვდა – დრომ, წყალმოვარდნამ, მიწისძვრამ თუ ათეისტების გულქვაობამ არაერთი ტაძარი ქვა-ქვა დაშალა. ძველი ტაძრის ზუსტად აღდგენა კი ახლის აშენებაზე რთულია.

წინა ნარკვევი ქვემო რაჭის დასავლეთ საზღვართან მდებარე ქვემო ჟოშხის ძეგლის აღწერით დავასრულეთ, ახლა კი ზემო რაჭის (და არა მთის რაჭის) ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა გადავინაცვლოთ ერთბაშად. პირველი დიდი შენაკადი, რომელიც რიონს მარჯვნიდან ერთვის, **საკაოსწყალია**. ამ ხეობის თავში სოფელი **ხიდეშლებია**, ბოლოში კი **ლაგვანთა**. ლაგვანთა თავად ჯაფარიძეებს ეკუთვნოდათ. აქ ჩალაძეების, თაგვაძეების, ჩარკვიანების, ჯაფარიძეების და წერეთლების 25 ოჯახი, რაჭის უმეტესი სოფლებისგან განხვავებით, ზამთარშიც არ იძვრის ადგილიდან, რასაც ცენტრალურ მაგისტრალთან სიახლოვეც განაპირობებს. აი ზევით კი, საითაც მიხვეულ-მოხვეული აღმართებით დიდი ხნის სავალია, ზამთარი მკაცრი და თანამედროვე კაცისთვის გაუსაძლისია. ხეობის ცენტრში სოფელი **საკაოა**. იგი ისტორიულ წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენიება, მაგრამ გაცილებით ძველი უნდა იყოს. **გიორგი ბოჭორიძეს ამ სოფლის ეკლესიაში X საუკუნის ხატი უნახავს. ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოცემულ წიგნში „რაჭა“ მისი ავტორი თამაზ ბერაძე წერს – ნახევრად დანგრეული ეკლესიაც X საუკუნის უნდა იყოს და მის კედლებზე მრავალი ბარელიეფიაო. აბა, ასეთი ძეგლის უნახაობა იქნება ?!.**

... ლაგვანთიდან საკაომდე 2-3 კილომეტრი იქნება, სოფლის ცენტრამდე – კიდევ უფრო მეტი... ძაღლი არ ყეფს, ჩამი-ჩუმი არაა... ბოლოს დედაბერი და მისი მეზობელი ხნიერი კაცი გვეხმაურებიან:

ეკლესია გნებავთ ?.. ძველი თუ ახალი?... არა, მსგავსი არაფერია სიახლოვეში, – გვეუბნება დედაბერი.

ძველ ეკლესიას ეძებთ ? – ერთვება საუბარში კაცი – ნახატები აქვს გარედან ? მარტო კედლებიღა აქვს?.. არა, არა, არაფერი ეგეთი. სოფელს ერთი ეკლესია ჰქონდა, ხევსგაღმა, მაგრამ დიდი ხნის წინათ, 1937 წელს წაიღო მეწყერმა. ახლა ნიშივით დიდი ლოდია იქ, სხვა არაფერი...

გაწბილებულები ცენტრალურ გზაზე ჩამოვდივართ და ონისკენ ვბრუნდებით. დროს და მზიან დღეებს ვეშურებით, ხვალ 29 სექტემბერია და წვიმაა გამოცხადებული, დღევანდელი დღე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და ჯეჯორის ხეობაში შესვლაზე უარი ვთქვათ. წინ 4-5 ისეთი ეკლესიაა, რომელთა უნახაობა არ იქნება.

სოფელ კომანდელთან მარჯვნივ ვუხვევთ და ორიოდ კილომეტრის გავლის მერე სხიერში შევდივართ. ამ სოფლის უმეტესობა სხიერელები არიან და ჩანს, სოფლიდან მიიღეს გვარი. მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სოფელი მათი კუთვნილება გამოდის, თავად ისინი კი აზნაურები. ჩნდება ეჭვი, რომ ისინი ჯაფარიძეთა სათავადო გვარის განაყარნი არიან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯაფარიძეთა სათავადო სახლი XVIII საუკუნეში წვრილ სააზნაურო სახლებად იყო დაყოფილი, ხოლო სოფელი სხიერი სწორედ ამ დროიდან ჩანს ისტორიულ საბუთებში, ჩენს ვარაუდს საფუძველი უჩანს.

სხიერის ტაძრის კუთვნილი წმინდა გიორგის ხატები

სხიერის ტაძრის მონარჩენი სამკაულების ფარდული

თამაზ ბერაძის წიგნში „რაჭა“ ნათქვამია: „სხიერში დგას „მირიანისეული უძრავი“ წმინდა გიორგის ეკლესია და შიგნიდან ყოფილა მოხატული (ე.ი. ავტორი სხვის ნანახს იმეორებს – გ.ქ.). ეკლესია ძალზე დაზიანებულია. აქედან ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს ფილაქვის კანკელის ერთი ფრაგმენტი. მასზე რელიეფური გამოსახულებანია წარწერებით. ყველა წარწერა IX-X საუკუნეებით თარიღდება. ამ დროს უნდა იყოს აგებული სხიერის ეკლესიაც.“ ორი წლის შემდეგ გა-

სორის ტაძრის ქტიტორები

მოცემულ „ქ.ს.ე.“– ში უფრო გაშლილია ეს ინფორმაცია: „სოფელში შემონახულია განვითარებული შუა საუკ. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ე.წ. უძრავი წმ. გიორგის ეკლესია. ინტერიერში დაცულია მოხატულობისა და კანკელის ფრაგმენტები. ეკლესიის კედლებზე ბევრი წარწერაა. კანკელის რელიეფური ფილის ფრაგმენტები დაცულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.“

ძეგლის სანახავად მეგზურად დავით მეტრეველი მოგვყვება და თან გვაფრთხილებს, შეიძლება იმედი გაგიცრუვდეთო. ბილიკებით ზევით და ზევით მივბობღავთ ტყეში და აი, რა სურათს ვხედავთ: მაღალ ხეებში პატარა ბაქანზე, რომელიც მთლიანად ექნებოდა ათვისებული ეკლესიას, ლოდების გროვაა გაშლილი. კედელი კი არა ორი ერთმანეთზე მორგებული ქვა არ ჩანს. საკურთხევლის, უფრო სწორედ აღმოსავლეთ მხარეს, ერთ-ერთ ხეზე თუნუქის სახატე ნიშია მიმაგრებული. ნაეკლესიარს ვერც სიგრძეს გაუგებ და ვერც სიგანეს. ნახაზზე და გეგმარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ხუთიოდე მეტრში ვიღაცას პაწაწინა ხის ფარდული გაუმართავს, რომელშიც რამდენიმე სამკაულიანი ქვა შეუნახავს.

... კვლავ გაწბილება, მაგრამ არა დაკარგულ დროზე ფიქრი... სხვა ძეგლებს ვეძებთ ...

... სოფელი შრომისუბანი, რომელსაც ახლახან დაუბრუნდა სახელწოდება ჯოისუბანი (ჯვრისუბანი), სხიერიდან დასავლეთით არსებულ ხეობაშია. ეს ის ხეობაა, რომლის თავში სოფელი შქმერია და რომელზეც ონი-საჩხერე-თბილისის ახალი ავტომაგისტრალი გადის. ამ ახალი ტრასიდან ჯოისუბანში მოსახვედრად მე-3 კილომეტრიდან ხელმარჯვნივ, დასავლეთით უნდა გადავუხვიოთ და ორიოდ კილომერტრი აღმართებით ვიაროთ. ეს სოფელი პირველად 1492 წელს გამოცემულ საბუთშია ნახსენები. იმერეთის მეფეთ-მეფე თეიმურაზი (?), მისი ჩერქეზი მეუღლე თუთა და ვაჟი ალექსანდრე წერენ: **„გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი თქვენ ჩერქეზიდან მოწოდებულსა ერთგულსა ბაქარა ბაქრაძესა და ძესა შენსა ვახტანგსა და დავითს. ამ წერილით დაგიმტკიცეთ სოფელი ჯვარისუბანი და ზეით სულობით შქმერი, ბაჯი (?), სევსა და ცხმორს ჩვენი სახლიკაცი რაც იყო, სოფელი ჩორდი, თავის ციხითურთ, მთა სარჩოდ... დაიწერა ქორონიკონს რპ, აპრილს 9-ს“.**

ეს საბუთი მარტოოდენ იმით არაა საინტერესო, რომ ჯვრისუბნისა და რამდენიმე სხვა სოფლის მეპატრონე ბაქრაძეებს გვაცნობს. აქ გვხვდება XV საუკუნის მიწურულის აქამდე უცნობი მეფე თეიმურაზი. მაშ ბაგრატ II-ის ნაცვლად იმერთა მეფის ალექსანდრე II-ს მამა იგი ყოფილა? საინტერესოა ისიც, რომ თუ 1503 წლის სვანთა და ჯაფარიძეთა სასისხლო წიგნში (ალექსანდრე II-ის ხელმოწერით) ჩერქეზეთი ინერციულად ისევ ოსეთად იხსენიება, ამ უფრო ადრინდელ საბუთში (ალექსანდრე II აქაც აწერს ხელს), ჩერქეზეთი ძლიერ პოლიტიკურ ერთულად აღიქმება, იმდენად ძლიერად, რომ მისი ბატონის ასული იმერთის დედოფალი გამხდარა. ამ საბუთს რაღაც ჭირს... ასე თუ ისე, XV საუკუნის შემდეგ ჯოისუბნის პატრონებად ბაქრაძეები ჩანან. მაგრამ ვის ეკუთვნოდა სოფელი მანამდე, 8 საუკუნის მანძილზე ? შესაძლოა, ეს კაცი ერთ-ერთია იმ პირთა შორის, რომლებიც ჯოისუბნის ეკლესიის ბარელიეფზე არიან გამოსახული.

ეს ეკლესია, რომელსაც „მცხეთის ჯვრის წმინდა გიორგი“ ჰქვია, VIII-X საუკუნეებით თარიღდება.

დასასრული მე-16 გვერდზე

ჯოისუბნის ჩრდილოეთ კედლის ბარელიეფი

სორის ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორის, მუხლმოყრილი ქველი ჭარელიძის ფრესკა

სორის ტაძრის ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან

მე-15 გვერდიდან

უმჯობესია თუ მას ნაეკლესიარად მოვიხსენიებთ. ამჟამად მისგან მხოლოდ ორი კედლის ფრაგმენტებია შემორჩენილი 4-5 მეტრის სიმაღლემდე. სხვა კედლებისაგან ქვათა ზვინები გვხვდება. საბედნიეროდ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებს ჯერ კიდევ შემოუნახავს ბარელიეფიანი ორი ქვა. ამათგან ჩრდილოეთით ჩადგმულ ფილაზე, რამდენიმე ფიგურაა, – 5 მამაკაცი წარწერით: „წმიდაო ღვთისმშობელო, წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე ამის მოქანდაკე კალატოზნი“. გარდა ამისა ყოფილა: აღმ. ფასადზე, სარკმლის თავსართ ქვაზე ტახტზე მჯდომი მაცხოვარი და მის აქეთ-იქით პეტრე და პავლე; იქვე, სარკმლის მარჯვნივ მამაკაცი ხელში ეკლესიის მოდელით და წარწერით: **„წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე გაბრიელ მამასახლისი“;** სარკმლის ქვემოთ, მარჯვენა კუთხეში – ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი წარწერებით: **„წმინდა გიორგი“** და **„წმინდა გიორგი შეიწყალე მონაი შენი გალატოზი“;** მკითხველი მიხვდება, რა დონის უნდა ყოფილიყო ჯოისუბნის ეს ეკლესია.

ჩვენი შემდეგი გაჩერება **სორის** და **მრავალძალის** ტაძრებია. ამ ორ ეკლესიას ერთი ძველთაძველი რელიგიური ჯაჭვი ჰკრავს.

ამბროლაურიდან ონისაკენ მიმავალნი, სანამ უშუალოდ სოფელ სორის დასახლებას გავუსწორდებით, ცენტრალური ავტომაგისტრალიდან ხელმარცხნივ ვუხვევთ და მდინარე **სართაულას** ხევში შევდივართ. 200-300 მეტრის შემდეგ გრუნტის გზას სასაფლაოსთან და იქ მდგარ XIII-XIV სს-ის დარბაზულ საყდართან მივყავართ.

ეკლესია მრავალმხრივაა საინტერესო. ამ ერთნავიანი, სათანადოდ დამუშავებული ქვით ნაგები ეკლესიის ამჟამინდელი სიგრძე 13,8 მ.-ია, სიგანე – 8,5 მ. ადრე მას ჩრდილოეთისა და სამხრეთის მონაშენები ჰქონია, სიგრძეში კი ამხელა არ ყოფილა. XIX საუკუნეში აქ მოღვაწე იტალიელ მისიონერებს მინაშენები მოუნგრევიათ და მისი ქვებით ტაძარი დასავლეთით საგრძნობლად დაუგრძელებიათ. ამას დასავლეთის ფასადის არატრადიციული მართლმადიდებლური რელიეფებიც: ქრისტეს ჯვარცმის სცენა, გრაალი, ადამის თავის ქალა და სხვა მოწმობს. აქვეა წარწერა – 1894 წელი.

სორის ტაძრის გვიანდელი ხანის ბარელიეფი „ჯვარცმა“

მენდელების ასულის საფლავის ობელისკი

ჩვენი მეგზური, ქალბატონი დარეჯან ბაკურაძე გვიამბობს: – მისიონერები, რომელთაც ვინმე მენდელი ედგა სათავეში, აქ XIX საუკუნის 70-იან წლებში მოსულან და ამ მიტოვებულ ეკლესიაში დაყუდებულან. ახლა ძნელი დასადგენია, როდის წავიდნენ ისინი აქედან, მაგრამ თავად მენდელი აქ დარჩენილა, გვარად მინდელი გამხდარა და ის თუ არა, მისი შთამომავალი, მართლმადიდებელ ქრისტიანად მოქცეულა. სორში დღემდე ცხოვრობენ მინდელები, რომელთა წინაპარი, ონისიმე მინდელი სორის ამ ეკლესიის მოძღვარი ყოფილა.

საინტერესოა აქვე სასაფლაოზე, ერთ-ერთი სამარის თავზე, აღმართული ობელისკი – ჯვარს ჩაკონებული ასული, რომელიც იტალიიდან ჩამოუტანიათ მენდელების ახალგაზრდა ასულის სულის მოსახსენებლად.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: ვახუშტი ბატონიშვილი ამ ეკლესიის გვერდით ჩამომავალ მდინარეს სორისხევს უწოდებს, ამჟამინდელ რუკაზე კი რატომღაც სართაულა ჰქვია, არადა ყველა სონტარულად მოიხსენიებს. **ეს ტოპონიმი იტალიური სანტარელადან მოდის, რაც წმინდა მდინარეს ნიშნავს. იტალიელ მისიონერებს ეს სახელწოდება იმ ადგილობრივი ლეგენდიდან გამომდინარე დაურქმევიათ, რომლის თანახმად ამ მდინარეს, დიდი ხნის წინათ, გაბრწყინებული ჯვარი ჩამოუტანია და იქ გაუჩერებია, სადაც მერე ეს ეკლესია აუგიათ. ამიტომ ერქვა, თურმე, საყდარს „სორის ჯვარცმა“.**

ამ ყველაფერს ჩვენი მეგზური ტაძრის წინ გვიამბობს, შიგნით კი სხვა ისტორია იშლება ჩვენს თვალწინ. დარბაზი რვა სარკმლით ნათდება, რაც მისი ინტერიერის დეტალებსა და ფრესკებს თვალნათლივ წარმოაჩენს. საკურთხევლის ნახევარწრიული აბსიდის ორსავე მხარეს მაღალი და ვიწრო ნიშია, სარკმლის ქვემოთ ეპისკოპოსისა და ორი სხვა მღვდელმსახურის დასაჯდომები. ტაძარი მთლიანადაა მოხატული, ფრესკების უმეტესობა, ასე თუ ისე, გადარჩენილია. სახარებისეული სიუჟეტების გარდა, სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე წარმოდგენილი არიან ეკლესიის მაშენებელნი და შემამკობელნი. ე. თაყაშვილის მიერ ნანახი სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთის ხუთი ფრსეკიდან შემორჩენილია მხოლოდ ორი მამაკაცის სახე. მარცხნიდან პირველს, რომელსაც საკურთხევლისაკენ აქვს მიმართული მზერა, ორივე ხელით ეკლესიის მოდელი გაუწვდია (ეს მოდელი სანახევროდ კანკელის კიდითაა დაფარული). ამავე კედლის დასავლეთ მონაკვეთში, კარის მეორე მხარეს, გამოსახულია სამი მამაკაცი მთელი ტანით. ისევე როგორც წინა ორ მამაკაცს, ამათაც დაბალი, თეთრქუბა – შემოვლებული ქუდები ხურავთ, მოკლე, წითელი კაბები მოსავთ და ვიწრო მოგვები აცვიათ. ფრესკათა წარწერები შებღალულია, მაგრამ სამოსის მიხედვით, ამ პირებს სტილისტურად ძალიან ამგვანებენ ზარზმაში გამოსახულ ათაბაგებს. როგორც ვარაუდობენ, ამ სამი პირიდან ცენტრში მდგარი კაცი უნდა იყოს გამოსახული ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთის ქვედა რეგისტრშიც, სადაც იგი მუხლმოდრეკილ, მავედრებელ პოზაშია და მხედრული წარწერით წარმოგვიდგება: **„წმიდაო გიორგი მრავალძალისაო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღუთისა ჭარელიძესა ქველსა.“** ვინ იყვნენ ეს ჭარელიძეები ?

მას შემდეგ, რაც დავით ნარინმა ბაღვაშ-კახაბერისძეთა გვარი ამოაგდო და რაჭის საერისთავო გააუქმა, მის საზღვრებში ნელ-ნელა ახალი გვარები, ჯერ გარაყანიძეები, შემდეგ კი ჭარელიძეები დაწინაურდნენ. ისინი, შესაძლოა, შიდა ქართლში არსებული ჭარებულას ხევის და სოფელი ჭარების პატრონებიც კი იყვნენ, სადაც ასევე XIII-XIV საუკუნეების ნატაძრალი დგას. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ XIII საუკუნის ბოლოს ისინი უკვე მომძლავრებულნი არიან. გიორგი ბრწყინვალემ, როგორც ჩანს, XIV საუკუნის დასაწყისში მრავალრიცხოვან რაჭას ახალი პატრონი დაუდგინა დროებითი მმართველის, მპყრობელი ერისთავის სახით და საამისოდ რომელიღაც ჭარელიძე (შეიძლება ის, რომელიც ეკლესიის მოდელით ხელშია გამოსახული ტაძარში) გამოურჩევია. სწორედ ამიტომაა, რომ **ქველი ჭარელიძე ისტორიაში საპყარ-ერისთავის სახლწოდებით არის შესული. ამრიგად, ტაძარი აშენებული და მოხატულია XIII-XIV საუკუნეებში, მაგრამ იგი XVIII საუკუნეშიც მოუხატვინებია დამატებით რაჭის ერისთავთა ახალი დინასტიის წარმომადგენელს შოშიტა III ჩხეტიძეს (1696 -1731 წწ.). ამის მაუწყებელია ტაძრის საკურთხევლის აბსიდში, კონქის ფრესკების ქვეშ არსებული ძნელად წასაკითხი წარწერა: „ქრისტე. ჰოი, მაცხოვარო პირო მღრთისა მე ერისთავი შოშიტა შემიწყალე.“**

სორის ეს ტაძარი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი მრავალ საეკლესიო ნივთსა და ხლნაწერს ინახავდა. ე. თაყაიშვილი მათ შორის ასახელებს: კანკელის წინდასადგმელ დიდ ჯვარს (296X131სმ.), რომელიც მარიხ ჯაფარიძეს შეუწირავს, ხოლო ვერცხლის ხატ-სურათებით ოსტატ კობახიძეს მოუკაზმავს; ასევე ღვთისმშობლის, წმ. გიორგის, მთავარანგელოზ გაბრიელის, მაცხოვრისა და ჯვარცმის ხატებს, მაცხოვრის დიდ კარედს და ა.შ. მათ აშიებზე ყოფილა იაკუბ ოსტატის, მირიანის, მირიან ჭარელიძის, ერისთავის ძის ქაიხოსროს, მემნას, ნიანია თავადდიშვილის სახელები. ყოფილა წარწერებიანი ვერცხლის ინვენტარი და სორის ზედა ეკლესიიდან ჩამოტანილი ნუსხა-ხუცურით დაწერილი 206 გვერდიანი ოთხთავი, რომლის მინაწერებში გვხვდება არაერთი პირი: მალაქშანიძე, გოგინაძე, დებურელელი, ახალციხელი, აჰრონ კარელელი, ეფვთიმე მღვდელმონაზონი, ბედან ერისთავი, ლომინა ერისთავი, პაპუნა ერისთავის შვილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ კონსტანტინე და ვარდან ავლეველები, რომელთა გვარი და სახელი რამდენჯერმე მეორდება. მათი დაკვეთით ეს სახარება ავლევის წმ. თევდორეს მონასტერში გადაწერილა. ავლევი შიდა ქართლში, შუა ფრონეს ხეობაში მდებარეობს და მისი ფრიად შელახული სახარება როგორღაც რაჭაში მოხვედრილა.

სორის ტაძარზე საუბარს აქ დავასრულებდით, რომ არა ისევ და ისევ ზევით ნახსენებ ფრესკაზე ქველი ჭარელიძის წარწერის ტექსტის თავისებურება: მუხლმოდრეკილი ჭარელიძე ჯვარცმის ტაძარში შენდობას რატომღაც მრავალძალის წმინდა გიორგის შესთხოვს. რაშია საქმე ?

ამ შეკითხვაზე პასუხს მომდევნო წერილში მივიღებთ.

ვახშამი წყალქვეშ

ჰოლანდიურმა კომპანია U-Boat Worx-მა წყალქვეშა აპარატი შექმნა, რომლის ფართობი 150 კვადრატული მეტრია. მას შეუძლია 200 მეტრის სიღრმეზე ჩაეშვას და გამოყენებულ იქნეს რესტორნად, სადაც 120 ადამიანს უმასპინძლებს. ამავე ფართობზე თავსდება კაზინო, საქორწინო ცერემონიების დარბაზი და ასევე, საპრეზენტაციო და საქმიანი შეხვედრების ადგილი. წყალქვეშა გასართობი პლატფორმა აკუმულატორებზე მუშაობს, რომელიც დამუხტვის გარეშე, 24 საათი ძლებს. აპარატს 14 ფართო ფანჯარა აქვს, რომლებიც სტუმრებს მიმზიდველი წყალქვეშა სამყაროს დათვალიერების საშუალებას მისცემს. ამჟამად კომპანია მოლაპარაკებებს აწარმოებს ბიზნესმენებთან და „ჩასაძირად“ შესაფერის ადგილს ეძებს.

სტუმრებს რობოტები ემსახურებიან

ინდოეთის ქალაქ ნოიდაში, რესტორანი Yellow House Robot გაიხსნა, სადაც მომხმარებლებს უნიკალური კაშკაშა ყვითელი ფერის რობოტები ხვდებიან. დაწესებულების მფლობელის თქმით, ქვეყანაში ეს უკვე მეოთხე ფილიალია და ახალი ტექნოლოგიების წყალობით, ქსელი არა მხოლოდ ფართოვდება, არამედ, კლიენტთა დიდ არმიასაც იძენს. რესტორანში სოციალური დისტანცირებაც მკაცრადაა დაცული, ხოლო რობოტები ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მუშაობენ. ორი-სამსაათიანი დამუხტვის შემდეგ, მათ შეუძლიათ, უწყვეტად 12 საათი იმუშაონ. დისტანციური გადამცემის წყალობით, რომელშიც მაგიდის ნომერი შეჰყავთ, „ჭკვიან მანქანებს“ უშეცდომოდ მიაქვთ კლიენტებამდე შეკვეთილი კერძები.

კარდიოსტიმულატორს აღარ ამოიღებენ

ამერიკელმა სწავლულებმა, ჯორჯ ვაშინგტონისა და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტებიდან, გასულ წელს, წარადგინეს მსოფლიოში პირველი კარდიოსტიმულატორი, რომელიც ორგანიზმში გაიწოვება. წელს ის უკვე დახვეწეს და უსადენო გადამცემებსა და მართვის ბლოკს დაუკავშირეს. მოწყობილობა სულ 0.25 მილიმეტრი სისქისაა და ნახევარ გრამზე ნაკლებს იწონის, რომელიც ბატარეის გარეშე მუშაობს – ენერგია გარე ანტენის მეშვეობით მიეწოდება. კანზე მიმაგრებული გადამცემები თვალყურეს ადევნებენ სხეულის ტემპერატურას, ჟანგბადის დონეს, სუნთქვას, კუნთის ტონუსს, ფიზიკურ აქტივობასა და გულის ელექტროაქტიურობას. ამ მონაცემების მიხედვით დგინდება სტიმულაციის რეჟიმი. მიღებული ინფორმაცია შესაძლოა აპლიკაციაში აიტვირთოს და მკურნალ ექიმს გადაეგზავნოს. როცა კარდიოსტიმულატორი საჭირო აღარ იქნება, ის ორგანიზმში გაიწოვება. ყველა კომპონენტი ბიოშეთავსებადია და არ იწვევს ორგანიზმის იმუნურ რეაქციას. დღესდღეობით, კარდიოსტიმულატორის ამოღების ან შეცვლისას, ქირურგიული ჩარევაა საჭირო, ახალი მოწყობილობა კი ამ პროცესს თავიდან აგვარიდებს.

ვისკის ბოთლი აუქციონზე გაყიდეს

შოტლანდიაში, ედინბურგში გამართულ აუქციონზე – Lyon & Turnbull, 1.1 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა მსოფლიოში ყველაზე დიდი ზომის ვისკის ბოთლი. მისი სიმაღლე, დაახლოებით, 180 სმ-ია, მოცულობა – 311 ლიტრი (444 ცალი, ჩვეულებრივი ბოთლი). 32-წლიანი დაძველების Macallan-ის ალკოჰოლური სასმელის მყიდველმა ანონიმად დარჩენა ისურვა. ვისკის ამ ბოთლს საკუთარი სახელიც აქვს – „შეუშინებელი“. ის 11 ნოვატორისა და მკვლევარის მიღწევებს მიეძღვნა, რომელთა პორტრეტებიც ეტიკეტზეა განთავსებული. პროექტის ავტორია ინვესტორი, დენიელ მონკი და მან ის გარდაცვლილ მამას მიუძღვნა. ამ ვისკის ერთი ყლუპი მყიდველს თითქმის 92 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით, 119 დოლარი) დაუჯდა.

ბრიტანელ მოსწავლეებს მწერებით გამოკვებავენ

დიდი ბრიტანეთის სკოლების სასადილოებში დაქუცმაცებული მწერების კერძების გაყიდვას დაიწყებენ. საპილოტე პროექტი უკვე ამ დღეებში ამოქმედდება. მასში უელსის ოთხი სკოლის 4-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობენ. ჩვეულებრივ, ბრიტანელი მოსწავლეები სასადილოებში ლაზანიათი, პასტა ბოლობეზეთი და თევზეულის კერძებით იკვებებიან. თემატური კვლევების ავტორები მიიჩნევენ, რომ ბავშვები უფრო მწერებიან საკვებს აირჩევენ, ვიდრე ტრადიციულ ხორციან კერძებს. მათი თქმით, მწერებში ბევრი ცილა და ვიტამინებია, თანაც მათი მოშენება უფრო ეკოლოგიურია, ვიდრე ფრინველებისა.

„გვინდა, რომ პატარებმა ალტერნატიულ ცილებზე იფიქრონ არა როგორც მომავლის საკვებზე, არამედ, რეალური შეხება ჰქონდეთ მასთან“, – აცხადებენ პროექტის ავტორები. მსოფლიოში, დღეისათვის, მწერებს თითქმის ორი მილიარდი ადამიანი მიირთმევს, ძირითადად, იმ რეგიონების მოსახლეობა, სადაც ეს მათ კულინარიულ ტრადიციებთან შესაბამისობაშია.

ჩინელი გოგონა ასაკის გამო დაიწუნეს

24 წლის ჩინელმა სტუდენტმა გოგონამ სატელეკომუნიკაციო კომპანია China Unicom-ში სცადა მუშაობის დაწყება, სადაც საკუთარი CV და განაცხადი დატოვა. თუმცა, გოგონამ სამსახური ვერ მიიღო, რადგან მას კომპანიიდან აუწყეს, რომ უკვე „ბებერია“. სამსახურში რომ აგიყვანოთ, შიდა განაწესს დავარღვევთ, რომლითაც უნივერსიტეტებიდან მისული თანამშრომლები 24 წლამდე ასაკის უნდა იყვნენო. „მალე სწავლას დავამთავრებ, სამსახურის შოვნა კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია“, – ამბობს განაწყენებული სტუდენტი.

წაგებულ სანაძლეოზე ფეხსაცმელი შეჭამა

ჟურნალისტმა მეტ პატჩესმა, 12 წლის წინ, Twitter-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ფეხსაცმელს შეჭამდა, თუკი გამოვიდოდა ფილმი „ტოპ განი: მავერიკი“. მეტი დარწმუნებული იყო, რომ სიკველი არ გამოვიდოდა, რადგან ტომ კრუზი არ თამაშობს სიკველებში, ფილმის პირველი ნაწილი კი შორეულ 1986 წელს გადაიღეს. გარკვეული დროის შემდეგ, ჟურნალისტმა ეს პოსტი წაშალა, მაგრამ ინტერნეტს ყველაფერი „ახსოვს“. ორიოდე კვირის წინ, „მევერიკის“ პრემიერა შედგა, პატჩესმა ნიძლავი წააგო. სტუდია Paramount-მა, რომელმაც ფილმი გადაიღო, მეტს ფეხსაცმლის ფორმის ტორტი გაუგზავნა. თუმცა, ჟურნალისტმა ჩათვალა, რომ ეს მარტივი გამოსავალი იყო და უფრო კრეატიულად მიუდგა საკითხს – საკვებად ვარგისი „ბათინკის“ შექმნა გადაწყვიტა, როგორც ჩარლი ჩაპლინის „ოქროს ციებ-ცხელებაშია“. არადა, თავიდან მეტი ნამდვილი ფეხსაცმლის ჭამას აპირებდა, თუმცა მერე უარი თქვა ამ იდეაზე.

პლასტმასის სწრაფად დაშლის გზას მიაგნეს

გერმანელმა სწავლულებმა, ლაიფციგის უნივერსიტეტიდან, ახალი ფერმენტი PHL7 აღმოაჩინეს, რომლის დახმარებითაც პლასტმასის დაშლა 90%-ით, სულ რაღაც, 16 საათშია შესაძლებელი. საინტერესოა, რომ ახალი ნივთიერება, პოლიეთილენის ტარას, ტერეფტალის მჟავასა და ეთილენგლიკოლად შლის. მათ კი, თავის მხრივ, სპეციალისტები ახალი პროდუქტის შესაქმნელად ხელმეორედ გამოიყენებენ. მკვლევარებმა სულ შვიდი სხვადასხვა ფერმენტი აღმოაჩინეს – ყოველი მათგანი, ექსპერიმენტების მეშვეობით, საგულდაგულოდ შეისწავლეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ მათი აღმოჩენა ხელს შეუწყობს პლასტმასის გადამუშავების სფეროს გაუმჯობესებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

„ვამპირებმა“ რეკორდი დაამყარეს

ვამპირის კოსტიუმში გამოწყობილი 1369 ადამინი შეიკრიბა ინგლისში, უიტბის მე-13 საუკუნის სააბატოში, ბრემ სტოკერის „დრაკულას“ 125 წლის იუბილეს აღსანიშნავად. კომპანია, რომელიც ნისლიან ალბიონზე, 400-მდე კულტურულ ობიექტს მართავს, 1897 ვამპირის შეკრებას აპირებდა, რადგან ზუსტად ამ წელს გამოიცა ეს პოპულარული რომანი. თუმცა, ღონისძიებაზე მისული 1369 ადამიანიც საკმარისი აღმოჩნდა, მსოფლიო რეკორდი რომ დამყარებულიყო. წინა რეკორდი – 1039 ადამიანი, 2011 წელს, აშშ-ში, ვირჯინიაში შეკრებილ „ვამპირებს“ ეკუთვნოდათ. გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის მცდელობისთვის, ყველა მონაწილეს შავი შარვალი ან ქვედაბოლო უნდა ეცვას, შავი ფეხსაცმლით, ჟილეტებითა და პერანგებით. ასევე, საჭიროა შავი მოსასხამი ან პალტო მაღალი საყელოთი და ხელოვნური ეშვების ნაკრები.

თოლიამ 17 კილო ყველი მოიპარა

ნისლიან ალბიონზე, პეინტონის ერთ-ერთი სუპერმარკეტი სისტემატური ძარცვის მსხვერპლი გახდა. როგორც გაირკვა, პროდუქტებს თოლია იპარავდა. Tesco Extra-ს გამყიდველებმა რამდენჯერმე შენიშნეს, როგორ შეფრინდა „ქურდი“ ფრინველი სავაჭრო დარბაზში, ავტომატური კარის გავლით, ადამიანებთან ერთად. შენობაში თოლია თაროებიდან პროდუქტს სტაცებდა ნისკარტს, უფრო ხშირად ყველს და გარეთ იმავე მეთოდით გადიოდა. ერთი წლის განმავლობაში, ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა 17 კილოგრამზე მეტი ყველი მოიპარა. ბოლოს ის მინი-ჩედერის პაკეტით დააფიქსირეს მაღაზიის კლიენტებმა. გაუმაძღარი ფრინველის მიერ მიყენებული ზარალი, დაახლოებით, 300 გირვანქა სტერლინგია.

ბრენდული ქოლგა წვიმისგან არ დაგიცავთ

Gucci-სა და Adidas-ის თანამშრომლობით შექმნილი ქოლგა ჩინურ სოციალურ ქსელებში დიდი განხილვის საგანი გახდა. პროდუქტი 1649 დოლარი ღირს, თუმცა მას ტრადიციული დანიშნულებით ვერ გამოიყენებთ, ის წყალგამძლე არ არის და ამიტომ წვიმისგან ვერ დაგიცავთ. ის უფრო „მზის ქოლგაა“. სიახლე ამ ორი ბრენდის ახალი საერთო კოლექციის ნაწილია, რომელიც გაყიდვაში ამ დღეებში ჩაეშვება. მომხმარებელთა ნაწილმა მას უსარგებლო, მოდური ნივთი უწოდა, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ადამიანები, რომელთაც საკუთარი სიმდიდრის სხვებისთვის ჩვენება უნდათ, პრაქტიკულობაზე დიდად არ ფიქრობენ. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ამ ქოლგას საკუთარი მყიდველი ეყოლება.

კოვიდრეგულაციის დარღვევას კრიმინალისტები იძიებენ

ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, კოვიდრეგულაციების დამრღვევი მამაკაცის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს კრიმინალისტები იძიებენ. მამაკაცი იზოლაციის წესებს არ დაემორჩილა და გარეთ გამოვიდა. ამის გამო, ხელისუფლებამ „კრიმინალი“ ჩინელის 5 ათასზე მეტი მეზობელი შინ ან სამთავრობო კარანტინში გაუშვა. ეს ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც პეკინსა და შანხაიში, კოვიდშეზღუდვების შემსუბუქებას იწყებენ. 40 წლის ჩინელი სახიფათო ზონად მიჩნეულ სავაჭრო მოედანზე იმყოფებოდა, რის გამოც მას იზოლაციაში ყოფნა დაუწესდა. თუმცა, მას შემდეგ მამაკაცი არაერთხელ ნახეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. მოგვიანებით მას კორონავირუსი დაუდასტურდა. მის 258 მეზობელს კარანტინში დარჩენა უბრძანეს, მის ქუჩაზე მცხოვრებ 5 ათას ადაიმიანს კი სახლში იზოლაცია დაევალა.

ჰაერის დაბინძურებას 9 მილიონი ადამიანი ეწირება

ყოველწლიურად, ჰაერის დაბინძურებას 9 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, – წერს Deutsche Welle სამეცნიერო ჟურნალ The Lancet Planetary Health-ში გამოქვეყნებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით. კვლევას ვაშინგტონის უნივერსიტეტის სწავლულები აწარმოებდნენ. მათი თქმით, 2015 წლიდან, გარემოს დაბინძურება, საშუალოდ, 9 მილიონ ადამიანს კლავს. კვლევაში აღნიშნულია, რომ „ჰაერის დაბინძურება ადამიანისა და პლანეტის ჯანმრთელობისთვის ეგზისტენციურ საფრთხეს წარმოადგენს და თანამედროვე საზოგადოებების მდგრადობას საფრთხეს უქმნის“. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ გარემოს დაბინძურებას ადამიანის ჯანმრთელობაზე უფრო მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ომებს, ტერორიზმს, მალარიას, აივ-ინფექციას, ტუბერკულოზს, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლს. „ქვაბში ვსხედვართ და ვიხარშებით, გარემოს დაბინძურებას კი სამარის ყურადღებას არ ვაქცევთ“, – ამბობენ კვლევის ავტორები.

გაზიანი სასმელი კიბოს წინააღმდეგ

ოქსფორდისა და ოლსტერის უნივერსიტეტების სპეციალისტები ახალ გაზიან სასმელზე მუშაობენ, რომელმაც სიმსივნური წარმონაქმნები სხივური და ქიმიოთერაპიის მიმართ უფრო მოწყვლადი უნდა გახადოს. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი სიმსივნე ადაპტირებას ახდენს ნაკლებჟანგბადიან გარემოში. ეს კი მათ პრეპარატების მიმართ უფრო მდგრადს ხდის. სასმელი, რომელზეც ბრიტანელი სწავლულები მუშაობენ, ბუშტუკებით იქნება გაჯერებული და მათ სიმსინე უნდა „გამოკვებონ“ ჟანგბადით. ეს კი გზას გაუხსნის წამლებსა და სხივურ თერაპიას. აღსანიშნავია, რომ სასმელი უკვე წარმატებით გამოსცადეს ლაბორატორიულ თაგვებზე. მკვლევარები აცხადებენ, რომ სასმელი უპირველესად კუჭქვეშა ჯირკვლის კიბოს მკურნალობისთვის იქნება განკუთვნილი.

საკუთარი და გააჩინა

შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში მცხოვრებმა ახალგაზრდა ქალმა საკუთარ დედას შვილი გაუჩინა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, 25 წლის ჰოლი სამერსმა გადაწყვიტა, დახმარებოდა დედას – ფეის, რომელმაც 51 წლის ასაკში, ახალი ქმრისგან შვილის ყოლა გადაწყვიტა. პრობლემა ის იყო, რომ დედა სტერილიზებული გახლდათ. ჰოლი კვერცხუჯრედის დონორი და ასევე, სუროგატი დედა გახდა. შედეგად, ამ ქვეყანას მოევლინა გოგონა – უილოუ. ბედნიერი ფეი აცხადებს, რომ ასეთი საქციელის გამო, უზომოდ მადლიერია ქალიშვილის. „როცა უილოუ გაიზრდება, ის აუცილებლად შეიტყობს საკუთარი წარმოშობის შესახებ“, – ამბობს ჰოლის დედა.

ლუდი ტვინისთვის მავნეა?

დღესდღეობით, საკამათო მოსაზრებები არსებობს ლუდის სასარგებლო თუ მავნე თვისებების თაობაზე. ამ ქარვისფერი სასმელის მომხრეები მის დადებით მხარეებს აღნიშნავენ, მოწინააღმდეგეებმა კი იმის მტკიცებულება იპოვეს, რომ ლუდი საკმაოდ მავნე სასმელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, კვირაში ლიტრანახევარი ეს ქაფიანი სიამოვნება საკმარისია, რომ ადამიანის ტვინის აქტივობა 20%-ით დაქვეითდეს. ესპანელი სწავლულები სანტიაგო-დე-კომპოსტელას უნივერსიტეტიდან, სამწლიანი კვლევების შედეგად აცხადებენ, რომ ლუდის სწორედ ასეთი რაოდენობა აჩლუნგებს ტვინს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ლუდის რეგულარული მომხმარებლები იძულებულნი არიან, მარტივი ამოცანების ამოსახსნელად, ტვინის ჩვეულებრივზე 20%-ით მეტი სიმძლავრე გამოიყენონ. ექსპერიმენტებში მონაწილე მოხალისეების ნაწილი კვირაში ერთხელ მაინც სვამდა 1.5 ლიტრ ამ გამაგრილებელ სასმელს, ნაწილი კი საერთოდ არ სვამდა. მოგვიანებით, როცა მონაწილეები ფხიზლდებოდნენ, მათ ტესტებს უტარებდნენ სხვადახვა ციმციმა სიმბოლოებზე. აღმოჩნდა, რომ ლუდის მსმელთა ჯგუფი, შედეგების მისაღებად, გაცილებით მეტ ძალისხმევას ხარჯავდა, ვიდრე არამსმელები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.